1950

უფასო

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებათა
და განკარგულებათა

კრებული

წელიწადი მეცამეტე

№ 12 | Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР. | 1950 წ.

F1221

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 4213—რვაწლიანი და საშუალო სკოლებში ბუნებისმეტყველების, ფიზიკის, ქიმიისა და გეოგრაფიის კაბინეტების მოწყობისა და ხელსაწყო-იარაღების, რეაქტივების, ტაბულების, რუკების და სხვა თვალსაჩინო საგნების მოვლა-პატრონობის შესახებ 3
2. ბრძანება № 4346—რესპუბლიკის სკოლებსა და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 5
3. მიმართვა № 1800—აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონის და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეების მიმართ.—მოსწავლეთა პირადი საქმეების და ყოფაქცევისა და წარმატების მოწმობის შესაძენად მოსწავლეთა შორის ფულის შეგროვების პრაქტიკის აღკვეთის შესახებ 8
4. ბრძანება № 4396—ქ. ჭიათურის, ჭიათურისა და საჩხერის რაიონების სკოლებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის შედეგების შესახებ 9
5. ბრძანება № 4472—ქობულეთისა და პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ 25
6. ბრძანება № 3801—საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების მდგომარეობისა და მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 38
7. ბრძანება № 3897/520—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო სახლების სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობისა და აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურეობის შესახებ 41

თ ბ ი ლ ი ს ი—1950 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 4213

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 10 ნოემბერი

რვაწლიანი და საშუალო სკოლებში ბუნებისმეტყველების, ფიზიკის, ქიმიისა და გეოგრაფიის კაბინეტების მოწყობისა და ხელსაწყო-იარაღების, რეაქტივების, ტაბულების, რუკების და სხვა თვალსაჩინო საგნების მოვლა-პატრონობის შესახებ.

აღვნიშნავ, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა სკოლების მომარაგება ბუნებისმეტყველების, ფიზიკის, ქიმიისა და გეოგრაფიის სწავლებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, რუკებითა და თვალსაჩინო ტაბულებით. მიუხედავად ამისა, როგორც შემოწმებით დადასტურდა, რიგ სკოლებში არ სრულდება საქართველოს სსრ განსახკომის 1944 წლის 7 თებერვლისა და 9 მარტის ბრძანებები „არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების სწავლებასთან დაკავშირებით სადემონსტრაციო ექსპერიმენტების მოწყობისა, თვალსაჩინოების გამოყენებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების შესახებ“. ბუნებისმეტყველების, ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებისათვის არ არის გამოყოფილი სათანადო ოთახები; ხელსაწყო-იარაღები მოუვლელი და გამოუყენებელია, ფიზიკის კაბინეტის ხელსაწყოები აუწყობელია; ტაბულები და რუკები არ არის გადაკრული მარლაზე ან მუყაოზე, რის გამო თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები ნადგურდება და მათი გამოყენება გაკვეთილებზე შეუძლებელი ხდება.

ვბრძანებ:

1. წინადადება მიეცეს რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებს მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა ბუნებისმეტყველების, ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები მოაწყონ საქართველოს განსახკომის 1944 წლის 7 თებერვლისა და 9 მარტის ბრძანებების შესაბამისად.

2. იმ რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებს, სადაც ბინის სივიწროვის გამო შეუძლებელი ხდება ქიმიის, ფიზიკისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტებისათვის ცალ-ცალკე ოთახების გამოყოფა, ნება დაერთოს, როგორც დროებითი ღონისძიება, გამოყონ ერთი უკეთესი (ვრცელი, ნათელი) ოთახი, სადაც საჭირო წესების დაცვით უნდა ინახებოდეს ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის სწავლებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები და ტარდებოდეს გაკვეთილები ამ საგნებში იმგვარად, რომ კლას-ლაბორატორია მუდმივად იყოს დატვირთული; დასაშვებია კლას-ლაბორატორიის კედლებზე გამოფენილი იქნეს ძირითადი ტაბულა-პლაკატები, განლაგების განსაზღვრული წესების დაცვით.

3. სკოლის დირექტორებმა მტკიცე ზედამხედველობა დააწესონ ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის, ფიზიკისა და ქიმიის ხელსაწყო-იარაღების და თვალსაჩინო საგნების მოვლა-პატრონობაზე.

კლას-ლაბორატორიების ქონების დაუდევრად შენახვისა და დაზიანებისათვის დაადონ სათანადო სასჯელი კონკრეტულ დამნაშავეებს.

4. დაევალოს რვაწლიანი და საშუალო სკოლების ბუნებისმეტყველების, ფიზიკის, ქიმიისა და გეოგრაფიის მასწავლებლებს:

ა) სრულ წესრიგში მოიყვანონ კლას-ლაბორატორიები, ააწყონ ხელსაწყოები, შეაკეთონ დაზიანებული ხელსაწყო-იარაღები, ტაბულები, კოლექციები და დაალაგონ ისინი კარადებში და ყუთებში ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გამოყენება გაკვეთილებზე;

ბ) იქონიონ კლას-ლაბორატორიაში არსებული ხელსაწყო-იარაღების, კოლექციების, ტაბულების და რეაქტივების სია და აწარმოონ მათი აღრიცხვა ფიზიკისა და ქიმიის ლაბორანტის მუშაობის შესახებ განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული მითითებების საფუძველზე (საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული № 5—6, 1948 წლისა);

ე) მტკიცედ დაიცვან ხელსაწყო-იარაღების, რეაქტივების და სხვა თვალსაჩინო საგნების მოვლა-პატრონობის წესები.

5. დაევალოს განათლების განყოფილების გამგეებს,—შეამოწმონ ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და 1951 წლის 1 იანვრისათვის წარმოადგინონ განათლების სამინისტროში სპეციალური ანგარიში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 4346

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 23 ნოემბერი

რესპუბლიკის სკოლებსა და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს ინსპექტორები გაპიროვნებულ იქნან რესპუბლიკის სკოლებზე ზონების მიხედვით.

2. დაევალოს ზონის ინსპექტორს სასკოლო ინსპექტორის შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1945 წლის 9 აგვისტოს დამტკიცებული დებულების საფუძველზე, განახორციელოს საჭირო ხელმძღვანელობა და კონტროლი ზონის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლების მუშაობაზე, რისთვისაც უზრუნველჰყოს:

ა) სადირექტივო ორგანოებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დადგენილებების, ინსტრუქციების, ცირკულარებისა და განკარგულებათა გატარება ზონის სკოლებში;

ბ) რაიონების სკოლებისა და ცალკეული მასწავლებლების მუშაობის შესახებ შემოსული კორესპონდენციების შემოწმება;

გ) სასკოლო ქსელის განლაგების შესწავლა და კადრების საკითხის მოწესრიგება;

დ) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებაზე კონტროლის დაწესება;

ე) სასკოლო შენობების მდგომარეობისა და სკოლების კაბინეტებითა და სასკოლო ბიბლიოთეკებით უზრუნველყოფის საქმის შესწავლა;

3) ხელმძღვანელობა ზონის სკოლების კომპლექსურ შემოწმებასა და შემოწმების შედეგად მიღებული ღონისძიების გატარებაზე.

3. ინსპექტორების მიერ ზონის ძირითადი ინსპექტირება ხდებოდეს სასწავლო წლის დასაწყისში და სასწავლო წლის ბოლოს. ინსპექტირების შედეგები და წინადადებები ზონის სკოლებში საჭირო ღონისძიებათა გატარების შესახებ წარმოუდგინონ დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს მინისტრისათვის მოსახსენებლად.

4. წარმოდგენილი პროექტი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ზონებად დაყოფისა და ზონებზე სასკოლო ინსპექტორების მიმაგრების შესახებ დამტკიცდეს (პროექტი თან ერთვის).

ჩემმა მოადგილემ ამხ. მ. ბურჭულაძემ ჩაატაროს საინსტრუქციო თათბირი ზონის ინსპექტორებთან და გააცნოს მათ უფლება-მოვალეობანი.

5. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს ინსპექტურის უფროსმა დ. გიორგაძემ უზრუნველჰყოს ამ ბრძანების გატარებაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის დაწესება.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1950 წლის 14 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

დაწყებითი და საშუალო სკოლების ზონალური ინსპექტორების სია ზონის რაიონები ჩვენებით

№№ რიგ.	რაიონების დასახელება	მიმაგრებული ინსპექტორის გვარი და სახელი
1	აფხაზეთის ასსრ, ქლუხორი, ზუგდიდი, ხობი, ქ. ფოთი.	ვ. ყ. ტულუში
2	აჭარის ასსრ, მახარაძე, ლანჩხუთი, ჩოხატაური, ვანი, სამტრედია.	ვ. გ. კვიმსაძე
3	სამხრეთ-ოსეთი ა. ო. გორი, გორის რაიონი, ქარელი, კასპი.	ბ. ი. ბათიაშვილი
4	ქვ. სვანეთი, ცაგერი, ქ. ქუთაისი, ქუთაისის რაიონი, წყალტუბო, წულუკიძე.	შ. მ. ცაგარეიშვილი
5	ონი, ამბროლაური, ტყიბული, ჩხარი, ზესტაფონი, მაიაკოვსკი.	დ. ი. ბახტაძე
6	ზემო-სვანეთი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ცხაკაია, აბაშა, გეგეჭკორი.	მ. ნ. ბებურიშვილი
7	თელავი, ახმეტა, ყვარელი, გურჯაანი, საგარეჯო, კაჭრეთი.	პ. პ. ბულია
8	საჩხერე, ქ. ჭიათურა, ჭიათურის რაიონი, ორჯონიკიძე, ხაშური.	კ. ლ. უკლება
9	ბორჯომი, ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, თეთრიწყარო.	მ. ი. დათიაშვილი
10	ყაზბეგი, დუშეთი, მცხეთა, თიანეთი, რუსთავი.	ა. ს. თევზაძე
11	წითელწყარო, სიღნაღი, ლაგოდეხი, ბოლნისი, დმანისი.	ნ. ს. გელაშვილი
12	ახალქალაქი, ბოგდანოვკა, წალკა.	ს. ი. მალიანი
13	მარნეული, გარდაბანი, ბოლნისის და დმანისის (აზერბაიჯანული სკოლები)	მ. რ. სულთანოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგეს, რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებს

შემოწმებით დადასტურებულია, რომ რიგ რაიონებსა და ქალაქებში სკოლის დირექტორები მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ავალდებულებენ ფასით შეიძინონ მოსწავლის პირადი საქმე, პირადობისა და ყოფაქცევისა და წარმატების მოწმობები. ადგილი აქვს აგრეთვე ამ დანიშნულებისათვის ფულის შეგროვებას მოსწავლეთა შორის.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო განმარტავს, რომ მოსწავლის პირადი საქმე, პირადობისა და ყოფაქცევისა და წარმატების მოწმობები და საკონტროლო და საგამოცდო წერითი სამუშაოებისათვის საჭირო მოწყობილობა — სამელნე, რვეულები და ქაღალდები მოსწავლეებს უნდა მიეცეთ უფასოდ. ამ დანიშნულებისათვის საჭირო თანხები გათვალისწინებულია სკოლის სასწავლო ხარჯების შემადგენლობაში, მაგრამ სკოლების მიერ დღემდე აუთვისებელი რჩებოდა.

გავალებთ განუმარტოთ სკოლის დირექტორებს, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული სასწავლო თანხები ამიერიდან გამოყენებულ უნდა იქნეს აგრეთვე პირადი საქმეებით, პირადობისა და ყოფაქცევისა და წარმატების მოწმობებით მოსწავლეთა უფასოდ უზრუნველყოფისათვის.

აღნიშნული სასკოლო დოკუმენტები განათლების განყოფილებებს დაეგზავნება განათლების სამინისტროს თვალსაჩინო ხელსაწყოთა განყოფილების მეშვეობით ცენტრალიზებული წესით. განათლების განყოფილებები ვალდებულნი არიან სკოლების ხარჯზე გამოისყიდონ ეს მასალები და გაუნაწილონ სკოლებს მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით.

გაცნობებთ რა ამას, გავალებთ გააფრთხილოთ სკოლის დირექტორები და აღკვეთოთ მოსწავლეთა პირადი საქმეების, ყოფაქცევისა და წარმატების და პირადობის მოწმობების შესაძენად მოსწავლეთა შორის ფულის შეგროვების მანკიერი პრაქტიკა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ვ. კუპრაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 4396

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წ. 30 ნოემბერი

ქ. ჭიათურის, ჭიათურისა და საჩხერის რაიონების სკოლებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის შედეგების შესახებ.

გავეცანი რა ქ. ჭიათურის, ჭიათურისა და საჩხერის რაიონების სკოლების გამოკვლევის მასალებს, აღვნიშნავ, რომ მიმდინარე სასწავლო წელს ქ. ჭიათურის, ჭიათურისა და საჩხერის რაიონების სკოლებს სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის საქმეში მოპოებული აქვთ გარკვეული მიღწევები.

კარგად მუშაობს დაბა საჩხერის I საშუალო სკოლა (დირექტორი გ. სადუნიშვილი), სკოლის მიერ დროულად არის აღწერილი სკოლის ასაკის ყველა ბავშვი და ჩაბმულია სწავლებაში. წესრიგშია მოყვანილი საკლასო ჟურნალები, მოსწავლეთა პირადი საქმეები, კარგად არის დაყენებული საგნობრივი კომისიებისა და წრეების მუშაობა. გავლილი საპროგრამო მასალა მოსწავლეებს კარგად აქვთ შეთვისებული ქართულ და რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში. კაბინეტებისათვის გამოყოფილია ცალცალკე დიდი და ნათელი ოთახები, მოწყობილია სააქტო დარბაზი. სკოლას აქვს სასწავლო საცდელი მიწის ნაკვეთი, კარგადაა მოწყობილი სასკოლო ბიბლიოთეკა და სხვა. მოსწავლეთა ლიტერატურული წრე სისტემატურად უშვებს ყოველთვიურ ჟურნალს. წრის მიერ შედგენილი იქნა და გამოიცა აკაკი წერეთლის აფორიზმები.

ასევე კარგად არის დაყენებული სასწავლო-საალმზრდელო მუშაობა დაბა საჩხერის II (დირ. კ. ქამუშაძე, სასწავლო ნაწილის გამგე ვ. ფარქოსაძე), ქალაქ ჭიათურის I (დირ. კ. სამყურაშვილი) და II (დირ. ე. ფალავანდიშვილი) საშუალო სკოლებში.

სკოლებში კარგად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები—შ. ჩუბინიძე (ქ. ჭიათურის II საშუალო სკოლა),

ს. პაპიჯანოვი და ივ. ფარქოსაძე (საჩხერის II საშუალო სკოლა), შურუსიძე (ნიგოზეთის საშუალო სკოლა), რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები—ს. დგებუაძე (საჩხერის II საშუალო სკოლა), ის. ბიწაძე (სვერის საშუალო სკოლა), ო. ფარქოსაძე, ბ. ბარათაშვილი, ქ. ჩაჩანიძე, მინ. წერეთელი, ლ. ყიფშიძე, ს. საყვარელიძე, თ. გაბელავა (ქ. ჭიათურის I, II და III საშუალო სკოლები), მათემატიკის მასწავლებლები—გ. კაპანაძე, კ. სამყურაშვილი, ს. გორგაძე (ქ. ჭიათურის I და II საშუალო სკოლები), კ. ნადირაძე, კ. ქამუშაძე (საჩხერის II საშუალო სკოლა), ფიზიკის მასწავლებლები—კ. კურტანიძე (ქ. ჭიათურის II საშუალო სკოლა), გ. ბიწაძე (კაც-სალიეთის საშუალო სკოლა), ისტორიის მასწავლებლები—თ. ეზიაშვილი (საჩხერის II საშუალო სკოლა), მ. გოქსაძე (ქ. ჭიათურის III საშუალო სკოლა), ე. ფალავანდიშვილი (ქ. ჭიათურის II საშუალო სკოლა), ვლ. შუკაკიძე და ა. ტყემალაძე (ქ. ჭიათურის I საშუალო სკოლა),—ქიმიაში—ვლ. ჩიხორია (საჩხერის I საშუალო სკოლა), ვ. დურმუშიძე (ქ. ჭიათურის II საშუალო სკოლა), თ. შოდებაძე (ქ. ჭიათურის I საშუალო სკოლა), თ. ცერცვაძე (ზოდის საშუალო სკოლა), ბიოლოგიის მასწავლებლები—თ. აბჟანდაძე (საჩხერის I საშუალო სკოლა), მ. გელაშვილი (ქ. ჭიათურის II საშუალო სკოლა), პ. ცუცქირიძე (სვერის საშუალო სკოლა), ა. ქარქაშაძე (ქ. ჭიათურის I საშუალო სკოლა), გერმანული ენის მასწავლებელი—კ. წერეთელი (ქ. ჭიათურის III საშუალო სკოლა და სხვ.

მიუხედავად აღნიშნულისა, ქალაქ ჭიათურის, ჭიათურისა და საჩხერის რაიონების სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ცალკეული საგნების სწავლება.

ქართული ენის სწავლების საქმეში ჩამორჩენას აქვს ადგილი ქ. ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლის IV კლასებში (მასწ. თინა ნადირაძე). მასწავლებელი არ არის დაუფლებული საგნის სწავლების მეთოდებს, რის გამო ვერ ახერხებს გაკვეთილის პროცესის სწორად წარმართვას: ყურადღებას არ აქცევს ფრონტალური კითხვების დასმას, არასწორად განმარტავს გაუგებარ სიტყვებს, არ ახდენს ახალი მასალის კატეხიზაციას, ლიტერატურულ მასალას არ იყენებს აღმზრდელობითი საკითხების გასაშუქებლად და სხვ. მოსწავლეთა საკლასო-საკონტროლო ნაწერებს გულდასმით არ ასწორებს: ერთერთი მოსწავლის ნამუშევარში დაშვებულია სხვადასხვა სახის 10 შეცდომა, მასწავლებლის მიერ კი შემჩნეულია მხოლოდ 2. III კლასის მასწავლებელი თ. ტყემალაძე წერითი სახეებიდან მხოლოდ სა-

ში სახის (ლექსის ზეპირად დაწერა, კარნახი და შინაარსის გადმოცემა) მუშაობას ატარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგოლაძეების 8-წლიანი სკოლის VII და VIII კლასის მოსწავლეების (მასწ. ვასილ მაჭარაშვილი) ცოდნის დონე დაბალია. VI კლასის მოსწავლეების (მასწ. თამარ მაჭარაშვილი), ცოდნა იმდენად ზერელეა, რომ ისინი ტექსტის ცალკეული ადგილის შინაარსში ვერ წვდებიან, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ქართული ენის გრამატიკიდან შესწავლილ საკითხებზე და სხვ.

სოფ. კორბოულის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ვენერა გაფრინდაშვილი) არ იციან ხალხოსნური მიმდინარეობის დამახასიათებელი ნიშნები, მისი ორი ბუნება. ზერელე წარმოდგენა აქვთ შესწავლილ მასალებზე, არ იციან რას ეწოდება რომანი, პოემა, არ კითხულობენ კლასგარეშე ლიტერატურას და სხვ. მსგავსი მდგომარეობაა X კლასშიც. ძალზე დაბალია ამავე სკოლის V^3 კლასის მოსწავლეების ცოდნა (მასწ. თედო მაჭარაშვილი). მათ არ შეუძლიათ გამართული ენით საუბარი, ცალკეული ბგერების სწორად გამოთქმა და სხვ.

კორბოულის საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლეების (მასწ. სიმონ ნოზაძე) ცუდად ნაწერს მასწავლებელი დაუმსახურებელ ნიშნებს უწერს, მაგ., ნ. მაჭარაშვილის ნაწერი ხუთ სტრიქონს შეიცავს, შესრულებულია ცუდად, მაგრამ მასწავლებლის მიერ შეფასებულია ნიშან „4"-ზე. მსგავსი მდგომარეობაა ამავე სკოლის III კლასში (მასწ. ქსენია ტაბატაძე) და გოგოლაძეების 8-წლიანი სკოლის VI^2 კლასში (მასწ. თამარ მაჭარაშვილი).

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში განსაკუთრებულ ჩამორჩენას აქვს ადგილი ჭიათურის რაიონის სკოლებში. სვერის და მანდაეთის საშუალო სკოლების მასწავლებლები თ. კვინიკაძე, ქ. ფერაძე და ა. საცერაძე სუსტად მუშაობენ. მათ კლასებში მოსწავლეებმა არ იციან შესწავლილი მასალა, არ იცნობენ ტექსტებს, გრამატიკულ მასალას გადმოსცემენ გაუაზრებლად და შესწავლილ გრამატიკულ კატეგორიებს ვერ იმარჯვებენ წერისა და ზეპირი მეტყველების დროს. დასახელებული სკოლების დაწყებით კლასებშიც იგივე მდგომარეობაა.

ნიგოზეთის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის წლიური კალენდარული გეგმები არასწორადაა შედგენილი: გეგმით სასწავლო წლის პირველ მეოთხედში საკლასო-საკონტროლო წერას ქართული ენის ხარჯზე დათმობილი აქვს 9 საათი, მანდაეთის საშუალო სკოლის 1 კლასის გეგმაში სწერია: „1) მოსწავლე-

თა გაცნობა—10 საათი, 2) სკოლის გარემოს გაცნობა—6 საათი, 3) წერა-კითხვისათვის მზადება—20 საათი, 4) ბგერების გაცნობა „ა“-დან „ც“ მდე 74 საათი, 5) განმეორება და აღრიცხვა—4 საათი“ და ა. შ. რიგ შემთხვევაში დაწყებითი კლასის მასწავლებელთა გეგმებში გრამატიკის საკითხები არაა შეტანილი (სვერის, ნიგოზეთის, მანდაეთის სკოლებში), ლიტერატურის თეორიაში გათვალისწინებული საკითხები გეგმის ბოლოსაა თავმოყრილი და სხვ.

შესწავლილ სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებას ახასიათებს რიგი ნაკლოვანება. დაწყებით კლასებში რუსულ ენას ასწავლიან ამ ენას სუსტად დაუფლებული მასწავლებლები.

კორბოულის საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებელი დ. მაჭარაშვილი იმის გამო, რომ რუსული ენა არ იცის, გაკვეთილზე ქართულად ესაუბრება მოსწავლეებს, ამავე სკოლის X—XI კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან გავლილი მასალა, ვერ ერკვევიან სქესებში, უძნელდებათ შეთანხმება.

სოფ. გოგოლაძეების (საჩხერის რ.) რვაწლიანი სკოლის არცერთ მასწავლებელს არა აქვს ამა თუ იმ კლასში მუშაობისათვის საჭირო მომზადება, ვერ მეტყველებენ სწორად, უძნელდებათ კითხვების და მახვილების მართებულად დასმა.

ჭიათურის რაიონის სვერის საშუალო სკოლის მასწავლებლები (ნ. ბიწაძე, ნ. შუკილაძე, პ. ბიწაძე) უყურადღებოდ ასწორებენ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს, მოსწავლეებმა არ იციან გავლილი მასალა. ასევე დაბალია ნიგოზეთის და მანდაეთის საშუალო სკოლის XI კლასების მოსწავლეთა მომზადება. მანდაეთის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თ. მუმლაძე არ არის დაუფლებული რუსულ ენას, მას არ აქვს მომზადება, რომ მოსწავლეებს გაუსწოროს თხრობაში დაშვებული შეცდომები. მასწავლებელმა სუსტად იცის გრამატიკა, უშვებს უხეშ შეცდომებს, შეცდომებს უშვებს აგრეთვე მახვილების დასმაში და სხვ.

მასწავლებელი თ. მუმლაძე სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდება მოსწავლეებში წერის ჩვევების ამაღლების საქმეს; I მეოთხედის განმავლობაში VIII კლასში წერა ჩატარებულია ხუთჯერ, გასწორებულია მხოლოდ მოსწავლეთა პირველი ნამუშევარი და ისიც უხარისხოდ.

სამოქალაქო ისტორიის მასწავლებელთა ნაწილი საკმაოდ არ იბრძვის მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის, არ იყენებს

ისტორიის სწავლებისათვის საჭირო დიდაქტიკურ მასალას, არ აწარმოებს გავლილი მასალის სისტემატურად გამეორებას, რის გამო დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე. ჭიათურის რაიონის კაცხ-სალიეთის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი თ. კევლიშვილი) ვერ ერკვევიან პირველი მსოფლიო ომის გამომწვევ მიზეზებში, მის იმპერიალისტურ ხასიათში, მეფის რუსეთის დამარცხების მიზეზებში, არა აქვთ წარმოდგენა ბოლშევიკურ გაზეთ „პრავდაზე“ და სხვ. ამავე სკოლის V—VIII კლ. მოსწავლეთა დიდმა უმრავლესობამ არ იცის მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური საზოგადოების კლასები, მტაცებლურ ომებსა და ნაციონალურ დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ომებს შორის პრინციპული განსხვავება.

საჩხერის რაიონის სხვიტორის 8-წლიანი სკოლის V კლასში (მასწავლებელი ალექსანდრა ლეჟავა) მოსწავლეებმა ვერ გადმოსცეს თანმიმდევრული თხრობით წინა გაკვეთილის მასალა „ბაბილონის სამეფო“. გავლილ მასალიდან მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა არ იცოდა პირველყოფილი ადამიანების ცხოვრება, წელთაღრიცხვის ცნება და სხვ.

ჭიათურის რაიონის მანდაეთის საშუალო სკოლის VI—VII კლ. მოსწავლეები (მასწავლებელი გერვასი მუმლაძე) გაკვეთილის თხრობის დროს ამახინჯებენ სიტყვებსა და ისტორიულ ტერმინებს, ერთსა და იმავე სიტყვებს რამოდენიმეჯერ იმეორებენ, პროლეტარების მაგიერ ამბობენ „პლორეტარებს“, „პატერის“ მაგიერ „პარტენს“ და სხვ.

გავლილი მასალის დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს აგრეთვე საჩხერის რაიონის კორბოულის საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეებმაც (მასწავლებელი დომენტი მაჭარაშვილი).

გეოგრაფიის მასწავლებელთა ნაწილი საფუძვლიანად არ ემზადება გაკვეთილისათვის, წინასწარ არ ეცნობა გაკვეთილისათვის საჭირო თვალსაჩინო ხელსაწყოებს, არ ნერგავს მოწაფეებში რუკის კითხვის ჩვევებს და არ აქცევს ყურადღებას გავლილი მასალის გამეორებას.

საჩხერის რაიონის კორბოულის საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებელმა ივანე მაჭარაშვილმა ახალი გაკვეთილის თემა „კომპასი და მისი გამოყენება“ თვალსაჩინოების გარეშე აუხსნა მოსწავლეებს. გაკვეთილის ახსნას მოანდომა 4 წუთი და დანარჩენი დრო მოანდომა წიგნში მოთავსებული მასალის კითხვას. გავლილი მასალა მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა არ იცის. დაბალია მოსწავ-

ლეთა მომზადების დონე აგრეთვე ჭიათურის რაიონის ნიგოზეთის საშუალო სკოლის VI კლასში (მასწავლებელი გ. ლაბაძე).

არითმეტიკის სწავლებას ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ არ ეჩცევა სათანადო ყურადღება. მასწავლებლები არ ცდილობენ, რომ მოსწავლეებში განამტკიცონ ზეპირი ანგარიშის კულტურა და ამოცანების ამოხსნის ჩვევები, ყურადღებას არ აქცევენ მოქმედებათა თანმიმდევრობით შესრულებას და სხვ. საჩხერის რაიონის სხვიტორის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელმა ვ. ჭიხორიამ IV კლასში მაგალითი (14484 ტ—1480 ტ)—775 ტ 814 კგ×12 ასე ამოხსნა: ფრჩხილებში მოთავსებულ სხვაობას ჯერ 775 ტ 814 კგ გამოაკლო და შემდეგ 12-ზე გაამრავლა. ამავე სკოლის III კლასში მასწ. თ. ზაბახიძე მოსწავლეებს მცდარ განმარტებას აძლევს (x+ +1428=70345; x-ი პირველი შესაკრებია, 1428 მეორე შესაკრები და 70345 მესამე შესაკრები).

კორბოულის საშუალო სკოლის V კლასის მასწ. ქ. მაჭარაშვილი (განათლებით ბიოლოგი) არითმეტიკულ დებულებებს დაუმტკიცებლად ასწავლის. გავლილ მასალიდან მოსწავლეებმა არ იციან რიცხვთა გაყოფადობა, მარტივი და შედგენილი რიცხვები, საერთო უდიდესი გამყოფისა და უმცირესი ჯერადის პოვნა. ნულებით დაბოლოვებული რიცხვების გამრავლებისას ნულებსაც ამრავლებენ, არ იყენებენ გამოანგარიშების რაციონალურ ხერხებს. ჭიათურის რაიონის მანდაეთის საშუალო სკოლის (მასწ. გ. გოგოლაძე) VI კლასის მოსწავლეები ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებენ კოეფიციენტსა და ხარისხის მაჩვენებელს, არ შესწევთ ალგებრულ გამოსახვათა რიცხვითი მნიშვნელობის გამოანგარიშების უნარი, წარმოდგენა არ აქვთ დადებით და უარყოფით რიცხვებზე და სხვ.

საჩხერის რაიონის სხვიტორის რვაწლიანი სკოლის (მასწ. ა. ანასაშვილი) VII კლასის მოსწავლეებმა არ იციან შემოკლებული გამრავლების ფორმულები. იმავე სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა არ იციან იგივეობისა და განტოლების განმარტება, ვერ ახდენენ დამოუკიდებლად მაგალითების ამოხსნას და სხვ.

ჭიათურის რაიონის სვერის საშუალო სკოლის (მასწ. მ. ტაბატაძე) IX კლასის მოსწავლეებმა არ იციან უარყოფითი რიცხვის ლუწი და კენტი ხარისხი, წილადისა და ხარისხის ახარისხება, მრავალწევრის კვადრატი, ფესვის განმარტება და მათზე მოქმედებანი. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი საჩხერის რაიონის ხვანის საშუალო სკოლის IX კლასში.

საჩხერის რაიონის ხვანის (მასწ. გ. ლომიძე), ჭიათურის რაიონის სვერის (მასწ. მ. ტაბატაძე) და ნიგოზეთის (მასწ. გ. შამათარაძე) საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა არ იციან ცნება რიცხვთა მიმდევრობის შესახებ, არითმეტიკული და გეომეტრიული პროგრესიის ყოველი წევრისა და წევრთა ჯამის ფორმულები. იმავე სკოლების XI კლასის მოსწავლეებმა არ იციან წყობათა, გადანაცვლებათა და ჯუფთებათა რიცხვის მისაღები ფორმულების გამოყვანა, ბინომის ძირითადი თვისებები და სხვ. ნიგოზეთის საშუალო სკოლის მოსწავლეთა მომზადების დონე იმდენად დაბალია, რომ მათ ვერ შეძლეს $x^2-x-12=0$ განტოლების ამოხსნა, $\sqrt{a+b}$ გამოსახვის გალოგარითმება, $(x+2^n)$ კვადრატში ახარისხება, $8^{-\frac{1}{3}}$ გამოანგარიშება და 0,0016 გაყოფა 0,04-ზე.

მასწავლებელი მ. ტაბატაძე უპასუხისმგებლოდ ეკიდება საკონტროლო ნამუშევრების გასწორებას, მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს არ ასწორებს და ნამუშევრებს „3"-ზე და „4"-ზე აფასებს.

ზოგიერთი სკოლის მასწავლებლები **გეომეტრიას** თვალსაჩინოების გარეშე ასწავლიან, არ ავარჯიშებენ მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე და თეორემათა შესწავლისას არ იყენებენ ანალიზურ მეთოდს, რის გამო ჭიათურის რაიონის მანდაეთის საშუალო სკოლის (მასწ. გ. გოგოლაძე) VII კლასის მოსწავლეებს არ შესწევთ თეორემის დამოუკიდებლად დამტკიცების უნარი, ერთმანეთში ურევენ მოცემულ და დასამტკიცებელ პირობას.

საჩხერის რაიონის ხვანის (მასწ. გ. ლომიძე), ჭიათურის რაიონის სვერის (მასწ. მ. ტაბატაძე) და ნიგოზეთის (მასწ. გ. შამათარაძე) საშუალო სკოლების X კლასის მოსწავლეებმა არ იციან წრეხაზში ჩახაზული კვადრატის, წესიერი ექვსკუთხედისა და წესიერი სამკუთხედის გვერდების გამოსაანგარიშებელი ფორმულები, ჩახაზული წესიერი მრავალკუთხედის გვერდების რიცხვის გაორკეცების ფორმულა და სხვ.

ნიგოზეთის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა არ იციან მართკუთხა სამკუთხედის ამოხსნის კერძო შემთხვევები, თანაფარდობა გვერდებსა და კუთხეებს შორის ირიბკუთხა სამკუთხედებში. მოსწავლეები ტრიგონომეტრიულ ხაზებსა და ფუნქციებს ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებენ.

ვერ შესძლეს $\operatorname{tg}\alpha=2$ საშუალებით დანარჩენი ფუნქციების გამოანგარიშება.

რიგი ნაკლულოვანებანი ახასიათებს გერმანული ენის სწავლების საქმეს. ქ. ჭიათურის I და II საშუალო სკოლის მოსწავლეთა მომ-

ზადება გერმანულ ენაში დაბალია. ამ სკოლაში საკონტროლო წერითი შრომების გასწორებას არ ექცევა ყურადღება. მასწავლებელი ნ. მოდებაძე თვით უშვებს შეცდომებს ტექსტის წაკითხვისას.

პერევისის რვაწლიანი სკოლის V—VII კლასების გერმანული ენის მასწავლებელი ე. კაპანაძე არ არის საგანს დაუფლებული, არ იცის დიფტონგების კითხვა. აღნიშნულის გამო მოსწავლეთა ცოდნის დონე დაბალია. მზგავსი მდგომარეობაა მერვე კლასშიც (მასწ. ტ. ფხალაძე). გოგოლაძეების რვაწლიანი სკოლის V^1, V^2 კლასების (მასწ. გრ. გოგატიშვილი, ქემერტელიძე) მოსწავლეებმა საპროგრამო მასალიდან სრულებით არაფერი იციან.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ფიზიკის სწავლების საქმეში. სკოლებში არ არის შექმნილი სათანადო პირობები ფიზიკის სწავლებისათვის,—არ არის გამოყოფილი ოთახები ფიზიკის კლას-ლაბორატორიებისათვის, არ ხდება კაბინეტების გეგმიანი შევსება, არ სწარმოებს მეთოდური მუშაობა ფიზიკის მასწავლებლებთან, სკოლაში არსებული ხელსაწყო-იარაღები გამოუყენებელია, არ ხდება მცირედ დაზიანებული ხელსაწყოების შეკეთება და რეგულირება, ქვაციხის საშუალო სკოლაში ფიზიკის ხელსაწყო-იარაღები სკოლის მნეს აქვს ჩაბარებული და სკოლის სამეურნეო ინვენტართან ერთად ნესტიან სარდაფში ინახება.

შესწავლილ სკოლებში კაბინეტების შევსება არ ხდება სკოლების მოთხოვნილების შესაბამისად, ხშირად სკოლებს ეგზავნება ისეთი ხელსაწყოები. რომლებიც მათთვის ზედმეტია, ზოგ შემთხვევაში სრულიად გამოუყენებელი. არასწორი განაწილების შედეგად ზოგიერთ სკოლაში ხელსაწყოები იგზავნება არა სრულყოფილი სახით. მაგ., ჭიათურის რაიონის განათლების განყოფილების მიერ მოლეკულარული შეჭიდულების სადემონსტრაციო ტყვიების ცილინდრების ერთი ნაწილი გაგზავნილი იყო კაცხ-სალიეთის სკოლაში და მეორე კი ზოდის საშუალო სკოლაში.

ქ. ჭიათურის I საშუალო სკოლის ლაბორანტი გამოყენებულია რაიონის კინომექანიკოსად. ზოდის საშუალო სკოლის ლაბორანტი იშვიათად ცხადდება სამუშაოზე; ქ. ჭიათურის II საშუალო სკოლაში, სადაც აუცილებლად საჭიროა ლაბორანტი, შტატით არ არის გათვალისწინებული.

სუსტად არის დაყენებული ქიმიის სწავლება კორბოულის საშუალო სკოლაში (მასწ. ალ. ნოზაძე). ამ სკოლის XI კლასის მოსწავლეთა ცოდნა ქიმიაში ძალზე დაბალია. მოსწავლეებს არ შეუძლიათ გადმოსცენ პერიოდული კანონი, ვერ ერკვევიან პერიო-

დული სისტემის პერიოდებსა და ჯგუფებში. არ შეუძლიათ გამოსახონ სქემატურად მნიშვნელოვან ელემენტთა ატომების აგებულება. არ იციან რა არის იონი და რამდენგვარია. მცდარი წარმოდგენა აქვთ ელექტროლიზის არსსა და ბუნებაზე. მათი აზრით ელექტროლიტთა ხსნარებში იონები დენის გატარების შემდეგ წარმოიქმნება, არ ესმით დადებითი და უარყოფითი ვალენტოვნების არსი. მოსწავლეებს არ შეუძლიათ ამოხსნან ელემენტარული ამოცანებიც კი (ამოცანები %-ლ გამოანგარიშებაზე, ტოლობით გამოანგარიშებაზე და სხვ.). მასწავლებელი თვით უშვებს შეცდომებს მასალის განმარტებისას. მაგალითად, მასწავლებელი ამბობს, რომ „იონი არის ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი „SO"$_4$ ორი იონი არისო", „HCl"-ის ხსნარი ელდენის ჩართვის შემდეგ იმუხტებაო" და სხვ. მასწავლებელი არ ატარებს ცდებს, საკონტროლო წერით მუშაობას, არ ზრუნავს კაბინეტების შევსებისათვის, არ ავარჯიშებს მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე, ვერ ფლობს საგანსა და მისი სწავლების მეთოდიკას, თემების დამუშავებისას პროგრამით განკუთვნილი საათების რაოდენობას თავის შეხედულებით ანაწილებს. მასწავლებელს არ უვარგა გაკვეთილის ორგანიზაცია. დაბალი მომზადებისაა აგრეთვე ამ სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები ქიმიაში (მასწ. მ. მაჭარაშვილი).

F 1221

სუსტად არის დაყენებული ქიმიის სწავლება მანდაეთის საშუალო სკოლაშიც (მასწ. ვლ. ტაბატაძე), XI კლასის მოსწავლეებმა არ იციან პერიოდული სისტემა, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ პერიოდული კანონისა, ვალენტოვნების ცნებისა და სხვათა შესახებ. ასეთივე მდგომარეობაა ამ სკოლის X კლასშიც.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მიჩურინული ბიოლოგია კორბოულის საშუალო სკოლაში. IX კლასის (მასწ. ალ. ნოზაძე) მოსწავლეები ვერ განმარტავენ ლამარკის მოძღვრების ძირითად არსს, გერცენისა და ლურიეს შეხედულებებს. სუსტი წარმოდგენა აქვთ დარვინის ბიოგრაფიაზე. თვალის ახვევის მიზნით მასწავლებელმა წინა გაკვეთილზე ახსნილი მასალა „— ახალ სახეობათა წარმოშობა" ხელმეორედ ახსნა, როგორც ახალი მასალა. გაკვეთილზე მასწავლებელმა ასეთი განმარტებები მისცა მოსწავლეებს: „კიტრა ვაშლი არის კიტაიკა, რომელიც ჩვენს რაიონში არის გავრცელებული", „ნატროშვილმა ჯიხვი თხას შეაჯვარა" და სხვ. ბიოლოგიის კაბინეტი სწავლების პროცესში არ არის გამოყენებული, ასევე გამოუყენებელია სკოლის ნაკვეთი სასწავლო მიზნით. არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ბიოლოგია აგრეთვე მანდაე-

თის საშუალო სკოლაშიც (მასწ. ვლ. ტაბატაძე) ამ სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეების ცოდნის დონე დაბალია.

შესწავლილი სკოლების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებას: კორბოულის საშუალო სკოლიდან მიმდინარე სასწავლო წელს განთესილია 19 მოსწავლე, ხვანის საშუალო სკოლიდან 9 მოსწავლე, საჩხერის II საშუალო სკოლიდან 8 მოსწავლე, გოგოლაძეების რვაწლიანი სკოლიდან ოთხი მოსწავლე და სხვ. ნიგოზეთის საშუალო სკოლაში მარტო მე-9 კლასიდან სწავლას ჩამოშორებულია 15 მოსწავლე.

ადგილი აქვს არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენის ხშირ შემთხვევებს; კორბოულის საშუალო სკოლაში სწავლის დაწყებიდან დღემდე მოსწავლეების მიერ უმიზეზოდ გაცდენილია 5067 გაკვეთილი, ამ სკოლის V^1 კლასში, 26 მოსწავლის მიერ უმიზეზოდ გაცდენილია 817 გაკვეთილი; ხვანის საშუალო სკოლაში არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 1638 გაკვეთილი, გოგოლაძეების რვაწლიან სკოლაში, სადაც 152 მოსწავლე სწავლობს, არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 830 გაკვეთილი, ნიგოზეთის საშუალო სკოლაში 290 მოსწავლიდან 2/XI-ს 43 მოსწავლე არ გამოცხადდა სკოლაში. მანდაეთის საშუალო სკოლაში მოსწავლეთა დაგვიანების 910 შემთხვევაა.

ზოგ სკოლაში ადგილი აქვს გაკვეთილებიდან მოსწავლეთა გაპარვის შემთხვევებს: საჩხერის I საშუალო სკოლიდან მარტო რუსული ენის და ლიტერატურის გაკვეთილებიდან მოსწავლეთა გაპარვის 106 შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ნიგოზეთის საშუალო სკოლის მე-5 და მე-6 კლასებში მოსწავლეთა გაკვეთილებიდან გაპარვას სისტემატური ხასიათი აქვს.

გაკვეთილების სამეცადინო ცხრილი ზოგ სკოლას არაწესიერად აქვს შედგენილი: ხვანის საშუალო სკოლაში მათემატიკისა და ფიზიკის საათები მე-6 გაკვეთილებად არის შეტანილი. ნიგოზეთის საშუალო სკოლის გაკვეთილების ცხრილში ქიმიის გაკვეთილები XI კლასში პირველ სამ დღეზეა განაწილებული, ტრიგონომეტრიის და რუსული ენისა და ლიტერატურის საათები მე 9-10 კლასებში მე-6 გაკვეთილებად არის შეტანილი. მსგავსი მდგომარეობაა კაცხ-სალიეთის საშუალო სკოლაშიც.

ზოგ სკოლაში ადგილი აქვს საგნების დაქუცმაცების მავნე პრაქტიკას. მაგალითად, კორბოულის საშუალო სკოლაში ქიმიას ასწავლის ორი მასწავლებელი, ბიოლოგიას ორი, ფიზიკას ორი, გეო-

ფრაფიას სამი და ისტორიას სამი. ბიოლოგიის მასწავლებელი ა. ნოზაძე ასწავლის ოთხ საგანს: ქიმიას მე-8 და 11 კლასებში, ბიოლოგიას მე-5, 7, 8 და 9 კლასებში; ფიზიკას მე-7-8 კლასებში, ასტრონომიას მე-11 კლასში, ბიოლოგიის მასწავლებელი ქ. მაჭარაშვილი კი—ქიმიას მე-9-10 კლასებში, ბიოლოგიას მე-6 კლასში, არითმეტიკასა და რუსულ ენას მე-5 კლასში.

სვერის საშუალო სკოლაში გერმანულ ენას ასწავლის ოთხი მასწავლებელი. პერევისის რვაწლიან სკოლაში კი—ორი მასწავლებელი. ხვანის საშუალო სკოლაში მე-5-11 კლასებში ისტორიას ასწავლის 4 მასწავლებელი. ასევეა ქ. ჭიათურის I და II საშუალო სკოლებშიც. I საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელ ს. გიორგაძეს მე-2 საშუალო სკოლაში მათემატიკის 6 გაკვეთილი აქვს, ხოლო სამაგიეროდ მე-2 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს გ. კაპანაძეს პირველ სკოლაში მათემატიკის ამდენივე (6) გაკვეთილი აქვს.

რიგი სკოლების პედსაბჭოს სხდომებზე იხილება სრულიად შეუფერებელი საკითხები. კაცხ-სალიეთის საშუალო სკოლის პედსაბჭოს სხდომაზე დამლაგებლის მუშაობის ანგარიშია მოსმენილი. ნიგოზეთის საშუალო სკოლის პედსაბჭოს სხდომაზე კი სკოლის ნაკვეთზე მიღებული მოსავლის (სიმინდი, ლობიო, ჩალა) შეფასება.

ზოგ სკოლაში ჩაშლილია მეთოდური მუშაობა. სვერის, კორბოულის და ნიგოზეთის საშუალო სკოლებში მეთოდიური მუშაობა არ წარმოებს. არ არის ჩამოყალიბებული საგნობრივი კომისიები, არ მუშაობს მეთოდური გაერთიანებანი და სხვ.

ბევრ სკოლაში უხარისხოდ არის შედგენილი სკოლის წლიური სამუშაო გეგმები. მაგალითად, კაცხ-სალიეთის საშუალო სკოლის წლიურ სამუშაო გეგმის ვრცელ შესავალში ლაპარაკია სოფელში კვერცხისა და ყველის დამზადების გეგმების შესრულებისა და ამ საქმეში მასწავლებლების მონაწილეობის შესახებ.

ბიბლიოთეკების მუშაობაში მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. სწორად არ არის შედგენილი კატალოგები (სვერის, მანდაეთის, ნიგოზეთის და სხვა სკოლებში). წიგნები არ არის დარგობრივად დალაგებული. ბიბლიოთეკებში გვხვდება მიუღებელი და მოძველებული წიგნები.

სკოლების ერთი ნაწილი არ არის მომარაგებული სათბობით. 5 ნოემბრისათვის შეშა არ ჰქონდათ მოზიდული საჩხერის I და II, ნიგოზეთის, კაცხ-სალიეთის და ქ. ჭიათურის საშუალო სკოლებს.

ზოგ სკოლაში ადგილი აქვს განათლების სამინისტროს ინსტ-
რუქციების უხეშ დარღვევას. მაგალითად, ჭიათურის რაიონის ერ-
ერთ საშუალო სკოლას 1949-50 სასწავლო წელს სიმწიფის ატეს-
ტატზე წერითი გამოცდები გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში „შა-
ვად“ არ შეუსრულებია. სვერის საშუალო სკოლის დირექტორმა
ი. ცუცქირიძემ მანდაეთის საშუალო სკოლის მეშვიდე კლასში
დატოვებული მოსწავლე კ. გოგოლაძე თავის სკოლაში მერვე
კლასში მიიღო, ხოლო მანდაეთის საშუალო სკოლის დირექტორ-
მა ე. ზუმლაძემ, რომელმაც იცოდა ამის შესახებ, ერთი წლის
შემდეგ იგივე მოსწავლე მე-9 კლასში მიიღო, მოსწავლე ამჟამად
მე-10 კლასში სწავლობს. ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის სკო-
ლის მე-11 კლასის მოსწავლე გ. ხითარიშვილი მიღებულია ქ. ჭია-
თურის მე-3 საშუალო სკოლის მე-11 კლასში განათლების სამინი-
სტროს ნებართვის გარეშე.

ჭიათურის რაიონში ყურადღება არ ექცევა ჩასულ მასწავ-
ლებელთა კომუნალურ მომსახურებას, ნიგოზეთის საშუალო სკო-
ლის 4 მასწავლებელი არ სარგებლობს კომუნალური მომსახურეობით.

ადგილი აქვს მასწავლებელთა მოცდენას სამუშაოდან. მაგა-
ლითად, ნიგოზეთის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი
გ. შამათარაძე (განათლებით ინჟენერი) პირველი მეოთხედის მან-
ძილზე მეზობელი სკოლის მშენებლობაზე იყო მიმაგრებული. რის
გამო მათემატიკა მე-9-11 კლასებში არ ისწავლებოდა.

სუსტია პედკაბინეტების დახმარება სკოლებზე.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭიათურის რაიონის პედკა-
ბინეტის მუშაობა. რის გამო რაიონის სკოლებში თითქმის ჩაშ-
ლილია მეთოდური მუშაობა. მიმდინარე სასწავლო წელს კაბინეტს
საგნების სწავლება არც ერთ სკოლაში არ შეუსწავლია. გამოც-
დილების განზოგადების მიზნით არ ჩაუტარებიათ ღია გაკვე-
თილები, არ სწარმოებს მუშაობა დამწყებ მასწავლებლებთან.

ჭიათურის რაიონის პედკაბინეტთან შექმნილ ფიზიკის, ქიმიისა
და ბიოლოგიის ლაბორატორიებს არ ჰყავს სპეციალისტი ხელ-
მძღვანელები, ლაბორატორიები მოთავსებულია სრულიად უვარ-
გის ბინაში. ცუდი ბინისა და მოუვლელობის შედეგად ხელსაწ-
ყოების უმრავლესობა დაზიანებულია.

განათლების განყოფილებები სუსტად ხელმძღვანელობენ სკო-
ლების მუშაობას, არ ამოწმებენ სკოლებში სწავლების მდგომარეო-
ბას, მასწავლებლების მუშაობას და სხვ.

ჭიათურისა და საჩხერის რაიონების არც ერთ სკოლაში მოგვარებული არ არის მასწავლებელთა პირადი საქმეები (სკოლებში არ არის მასწავლებელთა ცენზისა, სტაჟისა და სხვა საჭირო საბუთების ასლები ნოტარიალური წესით შემოწმებული). კორბოულის საშუალო სკოლის მასწავლებელ ნოზაძეს, წარმოდგენილი აქვს 1948 წელს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების დროებითი მოწმობა, დიპლომი კი დღემდე არ არის წარმოდგენილი. ხვანის საშუალო სკოლაში, მასწავლებელ ტყემალაძეს ხელფასი პირველი თანრიგით ეწერება, განათლების ცენზის დამადასტურებელი საბუთი გარდა განათლების სამინისტროს საგზურისა საქმეში არ არის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ქ. ჭიათურის, ჭიათურისა და საჩხერის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) ეს ბრძანება განიხილონ ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და მასწავლებელთა რაიონულ თათბირებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაში შემჩნეულ ნაკლულოვანებათა უახლოეს დროში გამოსასწორებლად;

ბ) ურყევად გაატარონ სკოლებში განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებები, ინსტრუქციები და მითითებანი. პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე სისტემატურად იხილებოდეს ცალკეულ საგნების სწავლების მდგომარეობა, კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა და სხვ. პედაგოგიური ხასიათის საკითხები;

გ) ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების გაუმჯობესების მიზნით, შეავსონ რაიონის ცენტრალური სკოლების სასწავლო კაბინეტები და ამ სკოლების გამოცდილმა მასწავლებლებმა დახმარება გაუწიონ რაიონის სკოლების ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლებს.

დ) აღკვეთონ ცალკეული საგნების დაქუცმაცების პრაქტიკა და არ დაუშვან საგნების სწავლება არასპეციალისტ მასწავლებლების მიერ;

ე) არ დაუშვან სასწავლო წლის მანძილზე მასწავლებელთა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანა ან სკოლიდან დროებითი მოწყვეტა და სხვა სამუშაოზე მიმაგრება;

ვ) განუხრელად გაატარონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1950 წლის 7 ივნისის № 1793 ბრძანება და მიაღწიონ

იმას, რომ დაწყებით კლასებში რუსულ ენას ასწავლიდნენ ამ ენას დაუფლებული მასწავლებლები. პირველ რიგში ეს ღონისძიება გააატარონ საჩხერის საშუალო სკოლის მე-2 კლასის მასწავლებლების თ. ბღებროვას, თ. ნოზაძის, საჩხერის II საშუალო სკოლის მე-2 და მე-3 კლასის მასწავლებლების შ. დვალის, მ. ნოზაძის, ვ. აბულაძის და გოგოლაძეების რვაწლიანი სკოლის მე-2, მე-3 კლასის მასწავლებლების შ. ბახტაძის და გ. კილაძის მიმართ;

გ) ყურადღება მიაქციონ სასწავლო ბიბლიოთეკების მუშაობას, გაწმინდონ სასკოლო ბიბლიოთეკები მოძველებული წიგნებიდან და იზრუნონ მათი ახალი წიგნებით შევსებისათვის. შემოიღონ წესი, რომ სასკოლო ბიბლიოთეკებზე განაწილებული წიგნები სათანადო ფაქტურით ბარდებოდეს სკოლას;

თ) გარდაქმნან რაიონული პედაგოგიური კაბინეტების მუშაობა ისე, რომ ისინი არსებითად ხელმძღვანელობდენ რაიონის სკოლების მეთოდურ მუშაობას, ხშირად აწყობდენ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადებას. ატარებდენ ღია გაკვეთილებს, რაიონულ გამოფენებს და სხვა.

ი) გააძლიერონ სკოლებზე ხელმძღვანელობა და კონტროლი, უზრუნველჰყონ სასწავლო წლის მანძილზე ყველა სკოლის მუშაობის შესწავლა-შემოწმება; 3 დღის განმავლობაში გააფორმონ შემოწმების მასალები და არა უგვიანეს 5 დღისა შემოწმების შედეგები საჭირო ღონისძიებებითა და მითითებებით გაგზავნონ სკოლებში.

3. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) უმოკლეს ვადაში დააზუსტონ სკოლებიდან განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა და უზრუნველჰყონ მათი ჩაბმა შესაბამ კლასებში. ამ საქმეში იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის 1946 წლის 13 მარტის ბრძანებით;

ბ) ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საგნების სწავლების მაღალ საფეხურზე დაყენებისათვის, გადამჭრელი ზომები მიიღონ კაბინეტების სათანადო ბინების შერჩევისა და მოწყობისათვის (იხელმძღვანელონ განათლების სამინისტროს 1947 წლის 17 და 20 მარტის № 476 და № 505 ბრძანებით). განათლების სამინისტროს მითითებათა საფუძველზე შესცვალონ გაკვეთილების ცხრილი;

დ) ჩამოაყალიბონ საგნობრივი კომისიები და გაუწიონ მათ საჭირო ხელმძღვანელობა;

ე) მიაღწიონ იმას, რომ სკოლასთან არსებული სასკოლო მიწის ნაკვეთები გამოყენებული იქნეს ბიოლოგიისა და ქიმიის სწავლების საქმეში:

4. აღინიშნოს, რომ განათლების სამინისტროს საგამოცდო ინსტრუქციის დარღვევისათვის, რაც გამოიხატა სხვა სკოლის VIII კლასში დატოვებულ მოსწავლის გამოცდებზე დაშვებისა და მომდევნო კლასში გადაყვანაში, სვერის საშუალო სკოლის დირექტორს ი. ცუცქირიძეს საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის ბიუროს მიერ დაედო სასჯელი.

5. სასწავლო წლის I მეოთხედში I—II კლასებში წერითი მუშაობის ჩაუტარებლობისათვის საყვედური გამოეცხადოს მანდაეთის საშუალო სკოლის დირექტორს ერასტი მუმლაძეს.

6. საგანში სუსტი მუშაობისა და სწავლებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის განთავისუფლდეს სამუშაოდან ნიგოზეთის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი გ. შამათარაძე.

7. ჩამოერთვას არითმეტიკის გაკვეთილები მ. მაჭარაშვილს, ფიზიკისა და ასტრონომიის გაკვეთილები ა. ლ. ნოზაძეს (კორბოულის საშუალო სკოლა), გერმანული ენის გაკვეთილები ელ. კაპანაძეს და ტ. ფხალაძეს (პერევისის რვაწლიანი სკოლა), გ. გოგოტიშვილს (გოგოლაძეების რვაწლიანი სკოლა) და თ. მუმლაძეს (მანდაეთის საშუალო სკოლა) VIII კლ. რუსული ენის გაკვეთილები.

8. ჩამოყენებული იქნან მე-5-8 კლასებში მ. ტაბატაძე (სვერის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი) და გ. ლომიძე (ხვანის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი).

9. საგნის სწავლების ცუდად დაყენებისა, მოუმზადებელი და გაუმართავი გაკვეთილების გადაცემისათვის, რის შედეგადაც დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე.

ა) გამოეცხადოს სასტიკი საყვედური: ჯ. ფხალაძეს, გ. გოგოლაძეს (მანდაეთის საშუალო სკოლა) და ალ. ნოზაძეს (კორბოულის საშუალო სკოლის ქიმია-ბუნებისმეტყველების მასწავლებელი).

ბ) საყვედური გამოეცხადოს: თ. ხადირაძეს (ქ. ჭიათურის II საშუალო სკოლა). ი. მაჭარაშვილს (კორბოულის საშუალო სკოლა), ა. ლეჟავას (სხვიტორის რვაწლიანი სკოლა);

გ) მოსწავლეთა დაბალი მომზადებისათვის მიეთითოს: თ. ღვალაძეს, ნ. ცუცქირიძეს, გ. ცუცქირიძეს, თ. ფხალაძეს (სვერის საშუალო სკოლა) თ. კენჭოშვილს, ე. ტაბატაძეს (ნიგოზეთის საშუალო სკოლა), ვ. მაჭარაშვილს, თ. მაჭარაშვილს (გოგოლაძეების რვაწლიანი სკოლა), ს. ნოზაძეს, ვ. გაფრინდაშვილს (კორბოულის საშუალო სკოლა), ა. საცერაძეს (მანდაეთის საშუალო სკოლა). თ. კვინიკაძეს (სვერის საშუალო სკოლა), ა. ანასაშვილს ვ. ჭიხორიას და თ. ზაბახიძეს (სხვიტორის რვაწლიანი სკოლა), ვლ. ტაბატაძეს

(მანდაეთის საშუალო სკოლა), თ. კევლიშვილს (კაცხ-სალიეთის საშუალო სკოლა), დ. მაჭარაშვილს (კორბოულის საშუალო სკოლა), გ. ლაბაძეს (ნიგოზეთის საშუალო სკოლა).

9. სკოლების სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოთ საყვედური კორბოულის საშუალო სკოლის დირექტორს ა. მაჭარაშვილს, ხკანის საშუალო სკოლის დირექტორს გ. ტაბატაძეს და ნიგოზეთის საშუალო სკოლის დირექტორს ს. მურუსიძეს.

10. სკოლებზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის, რაც გამოიხატა მასწავლებელთა შორის გაკვეთილების არასწორად განაწილებისა, ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში არსებული ჩამორჩენილობისა, სკოლებში მეთოდური მუშაობის მოუგვარებლობისა და პედაგოგიური მუშაობის ჩაშლისათვის,—გამოეცხადოს სასტიკი საყვედური ჭიათურის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს შ. ახრახაძეს.

11. სკოლებში სასწავლო საგნების არასპეციალისტ მასწავლებელთათვის მიცემისა, მოსწავლეთა ცოდნის დაბალი დონისა, რაიონის ცენტრიდან დაშორებულ სკოლებზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის,—მიეთითოს საჩხერის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. კ. კომლაძეს.

12. აღინიშნოს ქ. ჭიათურის განათლების განყოფილების გამგის ნ. მუმლაძის შესახებ, რომ მან განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე მუშაახალგაზრდობის სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ჩარიცხა მასიური სკოლის XI კლასში.

დაევალოს ზონის ინსპექტორს ამხ. კ. უკლებას III მეოთხედში შეამოწმოს ქ. ჭიათურის, ჭიათურისა და საჩხეროის რაიონების სკოლებში აღნიშნული ბრძანების შესრულების მდგომარეობა და შედეგები მოახენოს კოლეგიას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1950 წლის 21 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ვ. ტოგონიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 4472

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წ. 6 დეკემბერი

ქობულეთისა და პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გამორკვევის შედეგების შესახებ

გავეცანი რა ქობულეთისა და პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმების შემოწმების მასალებს, ავღნიშნავ, რომ აღნიშნულ სკოლებში გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესებულია სასწავლო-აღმზრდელობითი და გამაჯანსაღებელი მუშაობა. ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების საქმეში მოპოვებულია გარკვეული წარმატებები:

კარგად არის დაყენებული მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმის VI—VII და პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმის VII—VIII კლასებში,— მასწავლებლები გ. კიღურაძე და ვ. ჭელიძე ყოველდღიურად იბრძვიან გაკვეთილის მაღალი ხარისხისათვის, მოსწავლეებს უყენებენ გაზრდილ მოთხოვნებს და მათი მომზადების საქმეში აღწევენ კარგ შედეგებს. ქობულეთის სკოლის II კლასის მასწავლებელი ა. უკლება ჯეროვანი ყურადღებით ეკიდება ახსნითი კითხვის საქმეს, სწავლებაში სარგებლობს თვალსაჩინოებით, საკითხავ მასალას ფართოდ იყენებს აღმზრდელობითი ამოცანებისათვის. მის მოსწავლეებს გამომუშავებული აქვთ შეგნებული თხრობის უნარი და კითხვის კარგი ტექნიკა.

დამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა ქობულეთისა და პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმებში.

ქობულეთის სკოლის დაწყებითი კლასების (რუსული) მასწავლებელი ნ. კვერენჩხილაძე მომზადებულად ატარებს გაკვეთილებს; მისი გაკვეთილი მეთოდურად გამართული და მიმზიდველია, კარ-

გად აქვს დაყენებული ვარჯიში ამოცანების ამოხსნაზე და მასალას მოხერხებულად უკავშირებს პრაქტიკულ საკითხებს. ის საკმაო რაოდენობით ატარებს საკლასო-საკონტროლო სამუშაოებს და გულდასმით ასწორებს მას. მოსწავლეებმა კარგად იციან პროგრამული მასალა და დასმულ კითხვებზე დამაკმაყოფილებლად პასუხობენ.

დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული არითმეტიკის სწავლება ქობულეთის სკოლის III კლასში (მასწ. მ. ტანტილოზოვა), IV კლასში (მასწ. ლ. თხილაიშვილი), V—VIII კლასებში (მასწ. ვ. ჩხაიძე), პატარა ცემის II კლასში (მასწ. ა. ჩაჩავა) და III კლასში (მასწ. დ. გორდაძე).

დასახელებული მასწავლებლები სისტემატურად ემზადებიან გაკვეთილებისათვის, მოსწავლეებს საკმაოდ ავარჯიშებენ ამოცანებზე და ზეპირ ანგარიშში, სათანადო ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა დამოუკიდებლად მუშაობას და სხვ. მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებლად იციან შესწავლილი მასალა.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ—რუსული ენის მასწავლებლები: ა. უკლება, ქ. თევდორაშვილი; ნ. კვერენჩხილაძე (ქობულეთის სკოლა სანატორიუმი), პ. დევდარიანი და ვ. ჭელიძე (პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმში). დასახელებული მასწავლებლები მომზადებულად ატარებენ გაკვეთილებს, რის შედეგად მოსწავლეებს საფუძვლიანი და მტკიცე ცოდნა გააჩნიათ.

ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმის VIII კლასის მოსწავლეებმა ქიმიაში (მასწავლებელი ი. ფირცხალაშვილი) იციან ნივთიერებათა გაწმენდის ხერხები, წყალში უხსნად ნივთიერებათა ნარევის ერთიმეორისაგან დაშორება, სითხიდან მყარი ნივთიერების გამოყოფა და ხსნადი და უხსნადი სითხეების ერთიმეორედან გამოყოფა, მოსწავლეებმა კარგად განმარტეს ნივთიერებების მდგომარეობის შეცვლა მოლეკულური თეორიის თვალსაზრისით, დაასახელეს ქიმიურ რეაქციათა ტიპები, დაფაზე დახაზეს და დაწერეს შესაბამი ტოლობები და ცდისათვის საჭირო მარტივ ხელსაწყოთა სქემები.

პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის VIII კლასის (მასწ. ვ. გოცირიძე) მოსწავლეებს გარკვეული წარმოდგენა აქვთ ნივთიერებათა ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებზე, მოლეკულურ აგებულებაზე, ატომისა და მოლეკულის რეალობასა და სიდიდეზე. იციან სხეულთა შეკუმშვა-გაფართოება და დიფუზიის მოვლენები მოლეკულური თეორიის თვალსაზრისით და სხვ. ასევე კარგად ისწავლება ბუნე-

ბისმეტყველება ქობულეთის სკოლა-სინატორიუმის რვაწლიან სკოლაში, IV კლასის (მასწავლებელი თ. თხილაიშვილი) მოსწავლეებმა კარგად იციან გავლილი მასალა, გააზრებულად მსჯელობენ წყლის ძალის გამოყენების შესახებ და სხვ. მასწავლებელი სწავლებისას სისტემატურად იყენებს თვალსაჩინოებას. მან ახალი მასალა — „წყლის მიმოქცევა ბუნებაში“ თვალსაჩინოების გამოყენებით ახსნა, რის შედეგად მოსწავლეებს უჩვენა წყლის აორთქლება და ამ პატარა ნაწილაკებიდან მსხვილი წვეთების წარმოქმნა. კითხვების საშუალებით მასწავლებელმა საფუძვლიანად განამტკიცა ახალი მასალა. კარგად იციან გავლილი მასალა ამავე სკოლის VIII კლასის (მასწ. ი. ფირცხალაიშვილი) მოსწავლეებმა.

ქობულეთის სკოლა-სანატორიუმის VI კლასის (მასწ. ქ. კოპალეიშვილი) მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად ფლობენ გავლილ მასალას გეოგრაფიაში: იციან ევროპის ჰავა, მასზე ოკეანისა და გოლფსტრიმის გავლენა. გააზრებულად მსჯელობენ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის სახალხო დემოკრატიულ წყობილებაზე, გერმანიის ფაშიზმის უღლისაგან განმანთავისუფლებელ ბრძოლაზე და ამ ბრძოლაში საბჭოთა არმიის როლის შესახებ. მოსწავლეებმა იციან ამ ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი, მთავარი ქალაქები, მოსახლეობა და სხვ.

VIII კლასის მოსწავლეებს გარკვეული წარმოდგენა აქვთ სსრ კავშირის სასარგებლო წიაღისეული სიმდიდრის შესახებ; იციან ქვანახშირის, ნავთობის, რკინისა და ფერადი ლითონების მთავარი საბადოები, სსრ კავშირის ჰავის ზოგადი დახასიათება, ჰავისა და რელიეფის გავლენა მდინარეებზე და სხვ. კარგად ერკვევიან გავლილ მასალაში პატარა ცემის სკოლა სანატორიუმის VII კლასის (მასწავლებელი მ. დევდარიანი) მოსწავლეებიც.

ქობულეთის და პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმს სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მოპოვებული აქვთ ერთგვარი წარმატებანი: სკოლების წლიური და ნახევარწლიური სამუშაო გეგმები ძირითადში სწორადაა შედგენილი. გეგმიანად ტარდება პედაგოგიური საბჭოს სხდომები. სკოლებში აღმზრდელებთან ტარდება პედაგოგიური ხასიათის თათბირები, ლექცია-მოხსენებები; პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმში კი ასეთი სახის პედაგოგიური თათბირები, დღემდე ჩატარებულია ხუთჯერ.

კარგად მუშაობენ პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმის აღმზრდელები ე. ლაღიძე და ნ. ცაგარელი. ისინი ყოველდღიურად

ეხმარებიან თავიანთ საალმზრდელო ჯგუფის მოსწავლეებს სკოლაში მოცემული გაკვეთილების მომზადებისა, სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევების გამომუშავებისა და უფროსებისადმი თავაზიანად ზრდა-ვის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმზრდელები სისტემატურად ესწრებიან მოსწავლეებს საუზმის, სადილისა და ვახშმის მიღებისას და უნერგავენ მათ კულტურული ქცევის ჩვევებს. აქვთ მეოთხედური და ყოველდღიური სამუშაო გეგმები. კარგად არის დაყენებული პიონერთა შორის მუშაობა პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმში (უფროს პიონერხელმძღვანელი ამხ. დ. ქიტიაშვილი). დაკომპლექტებულია პიონერთა 2 რაზმი, 6 რგოლი, შექმნილია რაზმეული და ჩამოყალიბებულია რაზმეულის საბჭო. ჩამოყალიბებულია თვითშემოქმედებითი ხასიათის წრეები: ჭადრაკის, სიმღერისა და ცეკვის, წრის ხელმძღვანელებად გამოყოფილია უფროსი კლასის მოსწავლეები. საერთო საცხოვრებელში სანიმუშოდაა დაყენებული სისუფთავე.

ქობულეთის სკოლა-სანატორიუმის საწოლებში დანერგილია წესრიგი: საწოლი ოთახები სუფთა და ნათელია, დაწესებულია მორიგეობა.

სკოლა-სანატორიუმებში მოწყობილია იზოლატორი ავადმყოფ ბავშვებისათვის.

სამკურნალო და პროფილაქტიკური ღონისძიებები კარგად ტარდება აგრეთვე პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმში (ექ. ზუბაშვილი). შედგენილია სამკურნალო პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გეგმა, ბავშვთა მიღებისას ტარდება ბავშვების სანიტარული დამუშავება, ყოველ 10 დღეში ეწყობა ბავშვთა ბანაობა და თეთრეულის გამოცვლა და სხვ. ინფექციურ დაავადებას ადგილი არ ქონია. ბავშვებმა წონაში ორი თვის განმავლობაში საშუალოდ 1,8 კგ. მოიმატეს, ცალკეულ შემთხვევაში კი მატება 3—4 კილოგრამს შეადგენს.

ქობულეთის სკოლა-სანატორიუმს აქვს დამხმარე მეურნეობა— დათესილია 3 გექტარი სიმინდი, ყავს 60 ღორი. ამათგან 6 დედა ღორია.

პატარა ცემისა და ქობულეთის სკოლა-სანატორიუმების საწყობებში პროდუქტები სუფთად და მშრალად არის შენახული. ქობულეთის სკოლა-სანატორიუმი მზად არის ზამთრისათვის: მიზიდულია 200 კუბ. მეტრი შეშა, შეკეთებულია ყველა სასწავლო ოთახისა და საერთო საცხოვრებლის საკვამლე მილები, აქვთ საკმაო რაოდენობის თეთრეული და თბილი საბნები. წლის ბოლომდე დასრულდება სკოლის ეზოს წინა ნაწილის კიპიტალურად შემორაგვა და სხვ.

მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა, ქობულეთისა და პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ დეფექტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსტად არის დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმე პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმის II—III კლასებში (მასწ. ა. ჩაჩავა, ლ. გორდაძე), სუფთა წერა არ წარმოებს პროგრამის შესაბამისად, გაკვეთილების ცხრილში მოცემული სუფთა წერის საათები არ არის გამოყენებული დანიშნულებისამებრ. ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმის ზოგიერთ კლასის მოსწავლეებს მოუწესრიგებელი აქვთ საშინაო დავალებათა რვეულები, არ იგრძნობა მასწავლებელთა კონტროლი აღნიშნულ დავალებათა შესრულებაზე. პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის IV კლასში არ სრულდება წერის ნორმები მასწავლებელ ა. კაციტაძის მიერ. აღნიშნულ კლასში საკლასო წერა 12-ის ნაცვლად 10-ჯერ არის ჩატარებული. ქართულ ენასა და ლიტერატურაში საპროგრამო მასალის გავლაში ორთავე სკოლის ზოგიერთ კლასებში ჩამორჩენას აქვს ადგილი. ასე, მაგალითად, ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმის VIII კლასში (მასწ. შ. ტუსკია) ლიტერატურაში მხოლოდ 7 საათის მასალაა შესწავლილი, პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის VI კლასში (მასწ. ა. კაციტაძე) გრამატიკული მასალის გავლაში 10 საათის ჩამორჩენაა. ამავე სკოლის V კლასში (მასწ. ა. ჩაჩავა) დარღვეულია ლიტერატურული მასალის შესწავლის თანმიმდევრობა.

სერიოზული ნაკლოვანებანია მათემატიკის სწავლების საქმეში: ქობულეთის სკოლის IV კლასის მასწავლებელი დ. თხილაიშვილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების გასწორებას.

პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის მე-4—8 კლასების მასწავლებელი რ. სუპატაშვილი არ იცნობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაშვებულ დოკუმენტს წერითი სამუშაოების ნორმებისა და სახეების შესახებ. მის მიერ შედგენილი წლიური კალენდარული გეგმა მათემატიკაში უვარგისია. საკონტროლო წერებს ის მოუმზადებლად ატარებს. მოსწავლეთა ნამუშევრებს არ ასწორებს გულდასმით. მოსწავლეები არ აწარმოებენ შეცდომების გასწორებას.

მასწავლებელ რ. სუპატაშვილს მე-5 კლასში ზედიზედ აქვს ჩატარებული წერები 23/IX; 28/IX; 5/X, 13/X; 23/X-ს. ის კლასში არ ახდენს

ამოცანის დამუშავებას, საკონტროლო წერას ახალ მასალაზე ატარებს. ხშირად საწერი თემები არ არის შერჩეული გავლილი მასალის შესაბამისად და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის დირექტორი ვ. გოცირიძე და სასწ. ნაწ. გაგე ვ. ჭელიძე არ ანხორციელებენ საჭირო კონტროლსა და ხელმძღვანელობას მათემატიკის მასწავლებლების მუშაობაზე. არ ესწრებიან გაკვეთილებს, შეუმოწმებლად ამტკიცებენ ცუდად შედგენილ წლიურ კალენდარულ გეგმებს. მასწავლებლამდე არ დაჰყავთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული ინსტრუქციები და ბრძანებები. სკოლაში არ წარმოებს მუშაობა ახალგაზრდა დამწყებ მასწავლებლებთან და სხვ.

სკოლის გაკვეთილების სამეცადინო ცხრილი არ არის შედგენილი დადგენილი წესების შესაბამისად. მაგ. მე-8 კლასში სამშაბათს და ოთხშაბათს ქიმიის გაკვეთილი ცხრილში ზედიზედ არის შეტანილი, ასევეა მე-6 და მე-7 კლასებში ორშაბათს და სამშაბათს ბუნებისმეტყველების გაკვეთილი. მე-5 კლასში ორშაბათს მათემატიკას ორი საათი აქვს დათმობილი, სამშაბათს კი—არც ერთი. მე-4 კლასში ქართული ენის ყველა გაკვეთილი უკანასკნელ საათებშია მოცემული და სხვა.

წლიური და კალენდარული გეგმები ქობულეთისა და პატარა ცემის სატყეო სკოლებში არასწორად აქვთ შედგენილი. მასწავლებელ კვერენჩხილაძეს (ქობულეთი III და IV კლ.) არც ერთი საგნის გეგმაში არ აქვს ნაჩვენები წერითი სამუშაოების ჩატარების ვადა. სუფთა წერა III კლასში უგეგმოდ ტარდება. კალენდარულ გეგმაში ნაჩვენები საათები არ ეთანხმება ჩატარებულ გაკვეთილებს, რომელიც აღნიშნულია ჟურნალებში.

უცხო ენის კალენდარულ გეგმაში (ქობულეთის სატყეო სკოლა) არც ერთ კლასში არ არის აღნიშნული გრამატიკული და წასაკითხი მასალა, ხოლო პატარა ცემის სატყეო სკოლაში უცხო ენის კალენდარულ გეგმაში არ არის აღნიშნული საკონტროლო სამუშაოები.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა რუსულსა და უცხო ენებში, საშინაო რვეულების გასწორების საქმეში. აღნიშნული საგნის მასწავლებლები სერიოზულად არ ეკიდებიან საშინაო რვეულების გასწორების საქმეს.

არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან რუსულ ენას ქობულეთისა (მასწ. ლ. თხილაიშვილი) და პატარა ცემის (ა. ჩაჩავა, ა. ერა-

ქელოვი) **სკოლა-სანატორიუმებში**, მასწ. ა. ჩაჩავამ არ იცის რუსული ენა, ა. არაქელოვი კი არ არის დაუფლებული სწავლების მეთოდებს და არ შეუძლია მისცეს მოსწავლეებს სათანადო ცოდნა. ა. ჩაჩავა და ა. არაქელოვი საპროგრამო მასალისათვის განკუთვნილ საათებს თვითნებურად ამცირებენ.

ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმის ზოგიერთ კლასში დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება. მაგალითად, V კლასში. ერთი კვირის განმავლობაში 109 ნიშანი დაიწერა, მათგან 46 ნიშანი „2“ და „1“-ა.

აღნიშნული გარემოებისათვის კი სკოლის დირექციას ყურადღება არ მიუქცევია. ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმში ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევებს (V—VI—VII—VIII კლ.).

კაბინეტებისათვის არაა გამოყოფილი ცალკე ოთახი. ქობულეთის სკოლა-სანატორიუმში ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კაბინეტები საკლასო ოთახშია მოთავსებული. ბიოლოგიის ექსპონატები, პრეპარატები და პლაკატები ერთმანეთში არეული და დაულაგებელია. ფიზიკის ხელსაწყო-იარაღების უმეტესი ნაწილი დაზიანებულია, რის გამო ფიზიკა, ქიმია და ბუნებისმეტყველება თვალსაჩინოების გარეშე ისწავლება.

პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმში ქიმიის თვალსაჩინო სწავლებისათვის ხელსაწყოები და რეაქტივები სრულებით არ არის. როგორც ფიზიკის, ისე ბიოლოგიის ხელსაწყო-იარაღები, ექსპონატები კარადებში ერთმანეთზეა დალაგებული, მეტი ნაწილი მწყობრიდან გამოსულია.

პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმში გაკვეთილები არასწორადაა განაწილებული.

სკოლის დირექტორს ამბ. გოცირიძეს აქვს 18 საათი, ასწავლის ქიმიას, ფიზიკას და ბუნებისმეტყველებას და ამავე დროს ითვლება ორი კაბინეტის (ქიმია, ფიზიკა) გამგედ.

მასწავლებელ ა. კაციტაძეს აქვს 38 საათი, ასწავლის 1 კლასს და უფროსს კლასებში აქვს 14 საათი. მას ეს გაკვეთილები აქვს ერთ ცვლაში, რის შედეგად ქართული ენის გაკვეთილებს უკანასკნელ საათებში აძლევს. ა. ჩაჩავას აქვს 35 გაკვეთილი, ასწავლის შე 2 კლასს, გარდა ამისა აქვს უფროს კლასებში ქართული, რუსული და გერმანული ენის გაკვეთილი 11 საათი, ამ ენებს კი ვერ ფლობს.

მასწ. ლ. გორდაძეს აქვს 34 საათი, სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ. ჭელიძეს 18 საათი და სხვ.

ქობულეთის სკოლა-სანატორიუმში საალმზრდელო მუშაობის დარგში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. მაგალითად, საალმზრდელო ჯგუფების გეგმების უმრავლესობა ერთნაირია, აღმზრდელები ლომაძე, გაბუნია, მჟავია ნაკლებად მუშაობენ მოსწავლეებთან სკოლაში მიცემული გაკვეთილების მომზადებისა და აკადემიურად ჩამორჩენილი მოწაფეების გამოსწორებისათვის. არა ჰყავთ აღრიცხული აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები, არ აქვთ კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სია. აღმზრდელ გაბუნიას მოუფიქრებლად აქვს შედგენილი საალმზრდელო ჯგუფის გეგმა, არ არის გათვალისწინებული VIII კლასის მოსწავლეებთან მუშაობის სპეციფიკური პირობები.—გეგმაში შეტანილი აქვს 7 ნოემბრის დღესასწაულის ჩატარების შესახებ თათბირის ჩატარება 6 ნოემბერს და წრეების ჩამოყალიბება 10 ნოემბერს, როცა ეს ჯგუფი მუშაობას ამთავრებს 5 ნოემბერს.

პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმში საალმზრდელო ჯგუფების ჩამოყალიბების დროს არ არის გათვალისწინებული მოსწავლეთა აკადემიური მომზადება და ასაკი. მაგალითად, აღმზრდელ სიხარულიძესთან გაერთიანებულია I, II, III IV და V კლასის მოსწავლეები, აღმზრდელ გოცირიძესთან V და VI კლასის მოსწავლეები. სრულებით არ არის ჩამოყალიბებული პიონერთა რაზმები და რაზმეულის საბჭო ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმში.

ქობულეთის სკოლა-სანატორიუმის (დირექტორი პ. სალუქვაძე) სკოლის წლიურ და ნახევარწლიურ სამუშაო გეგმაში არაა გათვალისწინებული სკოლა-სანატორიუმის სპეციფიკური საკითხები, გეგმაში არაფერია ნათქვამი მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლებისა და სამზარეულო-სასადილოს სისტემატური მეთვალყურეობის შესახებ. პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის პედაგოგიურ საბჭოს არ განუხილავს სკოლის სასწავლო წლის დაწყებისათვის მზადყოფნის საკითხი; ამ სკოლაში ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები მოუფიქრებლადაა შედგენილი, მაგალითად, გეგმაში ხშირად ნახავთ ასეთ ჩანაწერებს: „საუბარი საერთაშორისო დღესასწაულის 7 ნოემბრის შესახებ 30 ნომბრიდან 30 აგვისტომდე“.

ზოგი ხელმძღვანელის სამუშაო გეგმაში სრულებით არ არის ნაჩვენები შესრულების ვადები და სხვ.

სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები სისტემატურად არ ამოწმებენ მასწავლებლების მუშაობას. 20 ოქტომ-

ბრამდე პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის დირექტორს მოუსმენია მხოლოდ 5 გაკვეთილი, სასწავლო ნაწილის გამგეს კი—7 გაკვეთილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებში არ არის მოწმობების გაცემისა და მიღების აღრიცხვის სპეციალური წიგნები. კურსდამთავრებულთა მიერ მოწმობების მიღებაზე ხელმოწერა საერთო წიგნში დაუნომრავ და დაულუქავ რვეულებშია წარმოებული.

ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმში სათანადო ყურადღება არ ექცევა კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციას, სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი გამოუყენებელია (ბიბ. გამგე ნ. ქინქლაძე); მოსწავლეებზე წიგნების გაცემა მხოლოდ 13 ოქტომბრიდან არის დაწყებული, ამ ხნის განმავლობაში 21 წიგნია გაცემული. V-VI-VII კლასების მოსწავლეთაგან სასკოლო ბიბლიოთეკით ჯერ არც ერთს არ უსარგებლია. ბიბლიოთეკის გამგეს არა აქვს სამუშაო გეგმა, წიგნების გაცემის აღრიცხვა დაუდევრად არის ნაწარმოები, არ არის კლასების მიხედვით კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდიციო სიები და სხვ.

პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის ბიბლიოთეკა მინდობილი აქვს მოლარე-საქმისმწარმოებელს, რომელსაც მიმდინარე სასწავლო წელს არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებია მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვის დარგში.

პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმში მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. თითოეულ ბავშვზე საშუალოდ მოდის 2,5, 3 კვ. მ. ფართობი დაწესებული 5—7 კვადრატული მეტრის ნაცვლად. შენობების ახალ ადგილას გადმოტანის გამო საბინაო ფართობი თითქმის 8 ოთახით არის შემცირებული და ამის გამო ნაცვლად 120 ბავშვისა დიდი დატვირთვით სკოლა-სანატორიუმი სასწავლო სეზონზე ატარებს მხოლოდ 80 ბავშვს.

ქობულეთის სკოლა-სანატორიუმში 16 აღმზრდელიდან 6 აღმზრდელია უმაღლესი განათლებით, დანარჩენი 10—საშუალო დამთავრებულია, რომელთაც არა აქვთ პედაგოგიური განათლება და გამოცდილება.

ქობულეთის სკოლა-სანატორიუმის საწყობისა და სამზარეულოს სასწორები უვარგისია. პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმს არ აქვს ადგილზე მიზიდული საკმაო რაოდენობის შეშა, 20 ოქტომბრისათვის ადგილზე მიზიდული ქონდა მხოლოდ 10 კუბ. მეტრი.

ვბრძანებ:

1. დაევალოს პატარა ცემისა და ქობულეთის სატყეო სკოლების სანატორიუმების დირექტორებს:

ა) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციებისა და მითითებების სკოლებში ურყევად გატარებაზე. მიაღწიონ იმას, რომ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე სისტემატურად იხილებოდეს ცალკეული საგნის სწავლების მდგომარეობის და წერითი მუშაობის დაყენების, კლასის ხელმძღვანელის, აღზრდელის მუშაობისა და სხვა საკითხები და ღებულობდნენ მეთოდურად და პედაგოგიურად სწორ და ეფექტურ ღონისძიებებს, რომლებიც ნამდვილად გაუწევს დახმარებას მასწავლებლებს სწავლების არსებითად გაუმჯობესების საქმეში;

ბ) განსაკუთრებული კონტროლისა და ყურადღების საგნად გაიხადონ ამ ბრძანებაში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებელთა საქმიანობა, აღმოუჩინონ მათ დახმარება და მიაღწიონ იმაა, რომ ეს მასწავლებლები სისტემატურად მუშაობდნენ თავისთავზე, ემზადებოდნენ გაკვეთილისათვის, სწავლებაში იყენებდნენ თვალსაჩინოებას და აწვდიდნენ მოსწავლეებს საფუძვლიან ცოდნას;

დ) ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლებმა აღკვეთონ ცდებისა და ლაბორატორიული მუშაობის გარეშე გაკვეთილების ჩატარება; წესრიგში მოიყვანონ კაბინეტები; ხელსაწყო-იარაღები დაალაგონ არსებული წესის მიხედვით, ისე, რომ შეიძლებოდეს გაკვეთილებზე მათი გამოყენება;

ე) უახლოეს დროში შეავსონ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები და შეჰქმნან პირობები სკოლებში სადემონსტრაციო ცდებისა და ლაბორატორული მუშაობის სისტემატურად საწარმოებლად (იხელმძღვანელონ განათლების სამინისტროს 1947 წლის 17 და 20 მარტის № 476 და 505 ბრძანებით);

ვ) უახლოეს ვადაში მოაწესრიგონ სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობა, შეავსონ სასკოლო ბიბლიოთეკები წიგნებით. სკოლაში არსებული წიგნადი ფონდიდან შეადგინონ ცალკე კლასებისათვის კლასგარეშე საკითხავი წიგნების სარეკომენდაციო სიები, ჩააბან მოსწავლეები კლასგარეშე კითხვაში და გაუწიონ სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი მოსწავლეთა მიერ წიგნებით სარგებლობის საქმეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ყოველ სასწავლო მეოთხედში ჩამოაყალიბონ ოქტომბრელთა ჯგუფები და პიონერთა რაზმები და გაუწიონ მათ ყოველდღიური ხელმძღვანელობა;

თ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასკოლო და ანგარიშსწორების დოკუმენტების აღრიცხვის საქმეს და არ დაუშვან კვების საფასურის თანხების ხარჯვა მათი ბანკში წინასწარ შეტანის გარეშე;

ი) უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანების განხილვა პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე, დასახონ პრაქტიკური ღონისძიებანი სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსასწორებლად.

2. საგნის მასწავლებლები დეტალურად გაეცნონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო ბრძანებებსა და მითითებებს. ცალკეული საგნის სწავლების საკითხებზე იხელმძღვანელონ ამ მითითებებით და უზრუნველჰყონ საგნების სწავლების საჭირო სიმაღლეზე დაყენება.

3. პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმის მასწავლებლებმა ა. ჩაჩავამ და ლ. გორდაძემ გადაჭრით გააუმჯობესონ სუფთა წერის მდგომარეობა. ზუსტად იხელმძღვანელონ სუფთა წერის პროგრამით და „ქართული წერის დედნით“.

4. ქობულეთის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა მ. ტუსკიამ და პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ა. კაციტაძემ გამოასწორონ საპროგრამო მასალის გავლაში არსებული ჩამორჩენა;

5. პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმის დირექტორმა ამხ. ვ. გოცირიძემ ა/წლის 30 ნოემბრამდე უზრუნველჰყოს სკოლა სათბობით.

6. ნება დაერთოს ამხ. გოცირიძეს ბინების სიმცირის გამო სასწავლო მეოთხედებში გაატაროს 85 მოსწავლე, ხოლო ზაფხულის პერიოდში 120 მოსწავლე.

7. დაისვას საკითხი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინაშე გამოუყოს ქობულეთის სკოლა-სანატორიუმს ერთი ცალი სადეზინფექციო კამერა.

8. დაისვას საკითხი საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინაშე, გადაიყვანოს ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმის ექიმი ამხ. ჯორბენაძე სხვაგან სამუშაოზე, რადგან ის თავის სპეციალობით და მუშაობის გამოცდილებით შეუფერებელია სატყეო სკოლა-სანატორიუმისათვის და მის ნაცვ-

ლად გაგზავნოს ექიმი პედიატრი, რომელსაც აქვს ბავშვთა სამკურნალო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება;

9. დაევალოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსს ამხ. ი. შავიშვილს: ა) ორი დღის ვადაში მისცეს ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმს დამატებით კაპიტალური რემონტისათვის 10 0000 მანეთი;

ბ) № 1 და № 2 კორპუსებისა, სასადილოს და სამზარეულოს შენობების შესაღებად საჭირო ზეთოვანი საღებავები.

გ) 1951 წლის კაპიტალურ მშენებლობის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ქობულეთის სკოლა-სანატორიუმის ეზოს მთლიანი შემორაგვა.

10. დაევალოს კადრების განყოფილებას, დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოსთან ერთად:

ა) გადასინჯოს პატარა ცემის და ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმების აღმზრდელთა პირადი შემადგენლობა და არაკვალიფიციური და გამოუცდელი მუშაკები შეცვალოს კვალიფიციური და გამოცდილი მასწავლებლებით;

ბ) შეარჩიოს და უახლოეს ვადაში გაგზავნოს პატარა ცემის სკოლაში რუსული ენის მასწავლებელი.

11. დაევალოს ქობულეთის სკოლა-სანატორიუმის დირექტორს ამხ. სალუქვაძეს:

ა) გაანთავისუფლოს სანატორიუმის საერთო საცხოვრებლები მუშა-მოსამსახურეებისაგან და მათ ნაცვლად შეასახლოს მოსწავლეები;

ბ) წარმოადგინოს სპეციალური განხილვისათვის დამხმარე მეურნეობის შესახებ მასალები ცალკე ანგარიშის გახსნის უზრუნველსაყოფად.

12. დაევალოს აჭარის ასს რესპუბლიკის განათლების მინისტრს, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის, გორის, ფოთის, რაიონების ზუგდიდის, სამტრედიის, აბაშის, ზესტაფონის, ტყიბულის, ბორჯომის, ცხაკაიას, წულუკიძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის და მახარაძის განათლების განყოფილებათა გამგეებს: ა) ქობულეთისა და პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმებში გასაგზავნად შეარჩიონ პირველ რიგში სამამულო ომის ფრონტზე დაკარგულთა და ინვალიდთა შვილები, რომელნიც საჭიროებენ კლიმატურ მკურნალობას;

ბ) არ დაუშვან ღია ფორმის ტუბერკულოზით დაავადებული ბავშვების გაგზავნა;

13. გაკვეთილების მოუმზადებლად ჩატარებისათვის, წერითი ნორმებისა და სახეების დარღვეკისათვის და წლიური კალენდარული გეგმის უხარისხოდ შედგენისათვის მიეთითოს პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის მათემატიკის მასწავლებელ რ. სუპატაშვილს, წინადადება მიეცეს მას უახლოეს ვადაში აღმოფხვრას მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

14. პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის რუსული ენის მასწავლებლებს ალ. ჩაჩავას (II კლასი) და ავ. არაქელოვს (V, VI კლასი), როგორც არასპეციალისტებს ჩამოერთვას რუსული და გერმანული ენების გაკვეთილები.

15. პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმის დირექტორს ჩამოერთვას 6-საათი და ფიზიკისა და ბიოლოგიის კაბინეტის გამგეობა.

16. მასწავლებელი ა. კაციტაძე და სასწავლო ნაწილის გამგე ვ. ჭელიძე განიტვირთონ ზედმეტი გაკვეთილებისაგან. მასწავლებელ ა. კაციტაძეს მიეცეს ერთი განაკვეთი უფროს კლასებში, ხოლო სასწავლო ნაწილის გამგე ვ. ჭელიძეს მხოლოდ 12 გაკვეთილი.

17. დაევალოს განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს:

ა) უზრუნველჰყოს სასწავლო წლის ყველა მეოთხედებში მოსწავლეთა დაკომპლექტება პირველ რიგში სამამულო ომში დაღუპულთა და ინვალიდთა შვილებით;

ბ) შეიტანოს შესწორება სატყეო სკოლა-სანატორიუმის დებულებაში და წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად;

გ) შეადგინოს სატყეო სკოლა-სანატორიუმის შინაგანაწესი, მეთოდური მითითება აღმზრდელ მასწავლებელთა მუშაობის შესახებ და დაუგზავნოს სახელმძღვანელოდ;

დ) 1951 წლის აპრილში შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1950 წლის 21 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ვ. კუპრაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3801

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 4 ოქტომბერი

საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების მდგომარეობისა და მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქ. სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებისა და განკარგულებების შესრულების შემოწმებით დადასტურდა, რომ საბავშვო სახლების დირექტორები და სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგეები ენერგიულად იბრძვიან დავალებათა დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის. ამის შედეგად საგრძნობლად განმტკიცდა საბავშვო სახლების მატერიალური ბაზა და გაუმჯობესდა აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება, უმჯობესდება სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა. აღსაზრდელთა სამედიცინო-სანიტარული მომსახურებისა და ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების მიზნით გატარებულია მნიშვნელოვანი ღონისძიებები და ა. შ.

მიუხედავად ამისა, რიგი საბავშვო სახლებისა ჯერ კიდევ გულგრილობასა და დაუდევრობას იჩენენ განათლების სამინისტროს ბრძანება-განკარგულებათა შესრულების საქმეში.

ა) არ არის შემოღებული სახელმძღვანელო დოკუმენტების სპეციალური საქმე, სადაც თავმოყრილ და თანმიმდევრულად (მიღების თარიღების მიხედვით) ჩაკერებული უნდა იყოს ზემდგომი ორგანოებისაგან მიღებული სახელმძღვანელო დოკუმენტები (თამარაშენის, ქურთის, სიღნაღის საბავშვო სახლები);

ბ) შუამთის, სიღნაღის, თამარაშენის, ქურთის, გორის საბავშვო სახლებში სრულიად არ აღმოჩნდა გასულ წელს დაშვებული მთელი რიგი სახელმძღვანელო დოკუმენტები.

გ) მიუხედავად არაერთი მითითებისა საბავშვო სახლის პედაგოგიურ საბჭოზე ან საწარმოო თათბირზე ხშირად არ ხდება აღნიშ-

ნული ბრძანებებისა და განკარგულებების განხილვა (ეწრის, ქურთის, თამარაშენის საბავშვო სახლები);

დ) რიგ შემთხვევაში განათლების სამინისტროს ბრძანება-განკარგულებათა განაილვას პედაგოგიურ საბჭოზე ფორმალური ხასიათი აქვს. პედაგოგიური საბჭოს დადგენილებაში სიტყვა-სიტყვით განმეორებულია ბრძანების ან განკარგულების ნუხლები და არ არის მოცემული კონკრეტული ღონისძიებანი ბრძანების შესასრულებლად.

დადასტურებულია ისიც, რომ ზოგიერთი ბრძანების მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდის არ არის შესრულებული, მაგალითად შეუსრულებელია:

ა) 1949 წლის 9 დეკემბრის № 4073 და 1950 წლის 13 მარტის № 487 ბრძანების ის ნაწილი, რომელიც საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების ხელმძღვანელებს ავალებდა სისტემატურად დასწრებოდენ სააღმზრდელო ჯგუფებში აღმზრდელთა პრაქტიკულ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობას, აღერიცხათ და გულდასმით გაეანალიზებინათ დასწრების მასალა და შედეგების მიხედვით მიეცათ აღმზრდელთათვის საჭირო მითითებანი;

ბ) ბრძანებები: 1949 წლის 27 აგვისტოს № 4212 და 1950 წლის 13 მარტის № 487 პედაგოგიურ-მეთოდური და საბავშვო ლიტერატურით სახლების მომარაგების შესახებ;

გ) 1949 წლის 26 დეკემბრის № 1336 ბრძანება და აგრეთვე განკარგულებანი რბილი ინვენტარის დაშტამპვისა და ინდივიდუალურ ხმარებაში მყოფ რბილი ინვენტარის თითოეულ აღსაზრდელზე გაპიროვნების შესახებ და ა. შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საბავშვო სახლების დირექტორებს:

ა) დაუყონებლივ შემოიღონ და პირადად აწარმოონ სახელმძღვანელო დოკუმენტების აღრიცხვის საქმე;

ბ) განათლების სამინისტროს ბრძანებები და განკარგულებანი სპეციალურად განიხილონ საბავშო სახლის პედაგოგიურ საბჭოზე და დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი და უზრუნველყონ მათი შესრულება.

გ) სახელმძღვანელო დოკუმენტების პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის შემდეგ ოქმები არა უგვიანეს ერთი კვირისა გადმოგზავნონ (დაზღვეულად) განათლების სამინისტროში.

2. დაევალოს საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილებას (ამხ. ვ. ჩინჩალაძე):

ა) განათლების სამინისტროს ბრძანებები და განკარგულებები დაუგზავნოს როგორც საბავშვო სახლებს, აგრეთვე შესაბამის განათლების განყოფილებებს.

ბ) სისტემატურად შეამოწმოს განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და განკარგულებების დროულად და ხარისხიანად შესრულება საბავშვო სახლების მიერ;

გ) მომახსენოს საბავშვო სახლების იმ დირექტორთა შესახებ, რომლებიც შემჩნეულ იქნებიან დაშვებულ ბრძანებათა და განკარგულებათა შეუსრულებლობაში.

3. ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა ხელმძღვანელობა გაუწიონ და სისტემატური კონტროლი დააწესონ საბავშვო სახლების მიერ განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და განკარგულებების დროულად და ხარისხოვნად შესრულებაზე.

4. დაისვას საკითხი მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე თამარაშენის საბავშვო სახლში შექმნილი არანორმალური მდგომარეობის შესახებ.

5. ვაფრთხილებ საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების დირექტორებს, რომ განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და განკარგულებების შეუსრულებლობის ან დაგვიანებით და უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ადმინისტრაციული ზომები.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: განათლების სამინისტროს კოლეგიის 1950 წ. 26 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ვ. ტოგონიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3897/520

საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსადმი

1950 წლის 10 ოქტომბერი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო სახლების სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობისა და აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების შესახებ.

საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების გაერთიანებულმა კოლეგიამ მოისმინა რა ამავე სამინისტროების გაერთიანებული კოლეგიის 1949 წლის 10 მარტის დადგენილების შესრულებისა და საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ საბავშვო სახლებში მიმდინარე წლის სექტემბერში ჩატარებული სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობისა და აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების შემოწმების შედეგები, აღნიშნავს:

ყველა საბავშვო სახლი დაკომპლექტებულია სამედიცინო პერსონალით. აღსაზრდელთა კომპლექსური სამედიცინო შემოწმება წარმოებს სისტემატურად. გამოვლინებულ ავადმყოფ ბავშვთათვის ტარდება სპეციალური მკურნალობა. საბავშვო სახლების დიდ უმრავლესობას აქვს ექიმის ოთახი და იზოლატორი, სახლები უზრუნველყოფილია მედიკამენტებით, საბავშვო სახლებში აღმოფხვრილია კანის დაავადებანი, საგრძნობლად შემცირდა ინფექციური დაავადებანი, გაუმჯობესდა ბავშვთა კვება, ფიზიკური აღზრდა, სანატორული მომსახურება. 1950 წელს სანატორიუმში გაიგზავნა 548 აღსაზრდელი, სათანადო სიმაღლეზე იყო დაყენებული საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობა, რის შედეგად მიმდინარე წლის ზაფხულში საგარაკოდ გაყვანილმა აღსაზრდელებმა წონაში საშუალოდ მოიმატეს 2—4 კილოგრამამდე.

მიღწევებთან ერთად საბავშვო სახლების სამედიცინო მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, სახელდობრ:

მიუხედავად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1949 წლის 19 მაისის № 259 ბრძანებისა, რიგ საბავშვო სახლებში დღემდე მუშაობენ არაპედიატრები. ცენტრებიდან დაშორებულ საბავშვო სახლებს (ბეთანია, შუამთა, კარდანახი, მახინჯაური, განთიადი, ქურთა და სხვა), არ ყავთ მთელ განაკვეთზე მომუშავე ექიმები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს აღსაზრდელთა სამედიცინო მოსამსახურების საქმეზე.

ყველა საბავშვო სახლი არ არის უზრუნველყოფილი საექიმო კაბინეტებით და ინვენტარით. არ არის წესრიგში მოყვანილი საექიმო დოკუმენტაცია.

ზოგიერთ საბავშვო სახლში არ არის დაცული კვების, განსაკუთრებით კარტოფილისა და ბოსტნეულის, ნორმები.

სამედიცინო პერსონალი ნაკლებად ზრუნავს სამედიცინო სანიტარული საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერებაზე, საბავშვო სახლების თანამშრომელთა და აღსაზრდელთა შორის რეგულარულად არ ატარებენ საუბრებს, მოხსენებებს. სანატორიუმების საგზურები საბავშვო სახლებს ეგზავნება ექიმების დასკვნისა და მათი მოთხოვნის გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ:

1. აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლებისა და ჯანმთელობის დაცვის მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლებისა და ჯანმთელობის განყოფილებათა გამგეებმა და რაიონისა და ქალაქის განათლებისა და ჯანრმთელობის განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ყველა საბავშვო სახლი უზრუნველყონ ექიმ-პედიატრებით და არ დაუშვან საბავშვო სახლებში სამედიცინო პერსონალის ხშირი ცვალებადობა;

ბ) ცენტრებიდან დაშორებულ საბავშვო სახლებში საშტატო განრიგით გაითვალისწინონ ექიმის მთელი ერთეული და აკრძალონ ექიმის შეთავსებით მუშაობა;

გ) უზრუნველყონ ყველა საბავშვო სახლში საექიმო კაბინეტის გამოყოფა;

დ) მთლიანად უზრუნველყონ ყველა საბავშვო სახლი საექიმო ინვენტარით, მედიკამენტებით, მედ-იარაღებით, შესახვევი და ასაცრელი მასალით და სადეზინფექციო ხსნარებით.

2. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. გ. ჯახაია):

ა) გააძლიეროს კონტროლი საბავშვო სახლების საექიმო პერსონალის მუშაობაზე და უზრუნველყოს საბავშვო სახლებში კვალიფიციური საექიმო მუშაკების გაგზავნა, აგრეთვე არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება;

ბ) უზრუნველყოს ავადმყოფ ბავშვთა დროული გამოვლინება და გოსპიტალიზაცია;

გ) ჩაატაროს საბავშვო სახლების აღსაზრდელთა კომპლექსური სამედიცინო შემოწმება;

დ) სანატორიუმების საგზურები გამოუყოს საბავშვო სახლებს საბავშვო სახლების ექიმების დასკვნისა და მოთხოვნის საფუძველზე.

3. საქართველოს სსრ ტუბერკულოზურ სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა სისტემატურად მიავლინოს ადგილებზე კვალიფიციური სპეციალისტები საბავშვო სახლების აღსაზრდელთა შესამოწმებლად.

4. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარულმა ინსპექციამ სისტემატურად შეამოწმოს რესპუბლიკის საბავშვო სახლების სანიტარული მდგომარეობა და მიიღოს ზომები საბავშვო სახლებში სანიტარულ-ჰიგიენური წესების სანიმუშოდ დაყენებისათვის.

5. საბავშვო სახლების დირექტორებმა და ექიმებმა:

ა) მიიღონ გადამჭრელი ზომები საბავშვო სახლში სანიტ-ჰიგიენური პირობების დაცვისათვის, ყოველმხრივ გააუმჯობესონ აღსაზრდელთა დაბანვის, საცვლებისა და თეთრეულის რეცხვის ხარისხი;

ბ) კვების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყონ მენიუს გულდასმით შედგენა, კალორიულობისა და ვიტამინიანობის დაცვა, კერძების მრავალფეროვნება;

გ) გააძლიერონ მუშაობა ბავშვთა ფიზიკური აღზრდისათვის — ფიზკულტურისა და სპორტის, ბუნების გამაჯანსაღებელ ფაქტორთა — (მზე, ჰაერი, წყალი) ფართოდ გამოყენება, სუსტი ჯანმრთელობის ბავშვთა განსაკუთრებული მოვლა;

დ) სრულ წესრიგში მოიყვანონ საბავშვო სახლების საექიმო დოკუმენტაცია.

3) უზრუნველჰყონ საბავშვო სახლის ყველა თანამშრომლის საექიმო შემოწმება დადგენილ ვადებში.

საბავშვო სახლების დირექტორებმა საბავშვო სახლის ექიმებთან ერთად სისტემატურად აწარმოონ მასობრივი სამედიცინო-სანიტარული მუშაობა საბავშვო სახლის აღსაზრდელთა და თანამშრომელთა შორის, რისთვისაც საალმზრდელო ჯგუფების სამუშაო გეგმებში შეიტანონ სათანადო ღონისძიებანი და კონტროლი დააწესონ მის შესრულებაზე.

საქ. სსრ განათლების სამინისტროს საბავშო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე) მიიღოს გადამჭრელი ზომები საბავშვო სახლებში ნორმალური პირობების შექმნის შესახებ.

7. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს განათლების სამინისტროს საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილების უფროსს ამხ. ვ. ჩინჩალაძეს და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა განყოფილების უფროსს ამხ. ზ. ჯახაიას და შედეგების შესახებ მოხსენდეს განათლების და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ვ. ტოგონიძე**

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის
დაცვის მინისტრის მოადგილე **ნ. ბარკალაია**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ/მგებელი რედაქტორი მ. ბურჭულაძე
პ/მგ. გამოშვებისათვის დავ. გიორგაძე

უმ01176 შეკვ. № 2629. ტირაჟი 3000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობებისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.